# საქართველოს რესპუბლიკა

> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 7 ივლისი, 2010 წელი.

№126 (6492)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს და ქართველების ლანძღვა-გინებამ აპოგეას მიაღწია,

### ანუ მებრძოლი გრუზინოფობია




3

## რა ლოგიკით ნიშნავენ ჩვენთან თანამდებობებზე სუსტ ფიგურებს და ვის აწყობს ეს? 4

## ტერმინ „ოკუპაციის“ გამოყენებას დეოკუპაციისთვის ხელსაყრელი საერთაშორისო ფონის შექმნა მოჰყვება 2

## გაზსადენის 51 პროცენტი სახელმწიფოს დარჩება 5



## გამეცინებოდა, რომ არ მეტირებოდეს!

პირში ჩალაგამოვლებული ოპოზიცია, დაწყნარებული „ვითომოპოზიცია“, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მიერ სამჯერ ნახსენები „ოკუპაციით“ დაიმედებული ხელისუფლება და... 2-4

## როგორ აპირებს სახელიმილიანი ჰილარი რუსეთის მეზობლების დამშვიდებას? 8



## თუ მოვლენები ასე განვითარდა, „თეთრი ქალაქი“ მალე „აჩრდილების ქალაქად“ გადაიქცევა 7

## თემურ შაშიაშვილმა წყალი გადაგვიწურა, თურმე ჩვენთან არც პოლიტიკური პროცესი მიდის და არც პოლიტიკური ძალა გვყოლია 5




## თურმე კიბოს წინააღმდეგ აცრებიც შეიქმნა,

### ანუ ავთვისებიანი სიმსივნის დასამარცხებლად ექიმებს ახალი იარაღი გაუჩნდათ 9

## პუტინის 5 ვარიანტის გათამაშების საშიშროება რეალურია

**ისევ ჰილარი**

**წავიდა ჰილარი და დაგვიტოვა ლამაზი ოცნებები და იმედები. ნეკროლოგის დასაწყისივით კი ჟღერს, მაგრამ პოლიტიკოსების უმრავლესობის განწყობას, რომელიც სახელმწიფო მდივნის ვიზიტმა დატოვა, ნადვილად შეეფერება.**

აბა, თავად ჰილარი კლინტონს რას ვერჩით, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და ჩვენ თუ ვერა, ამერიკელებს მაინც მოუტანოს ხეირი. პოლიტიკოსების უმრავლესობაში კი ხელისუფლება და ის ადამიანები ვიგულისხმე, რომლებიც ჰილარისთან შეხვედრის შემდეგ აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ.



# ოპოზიცია კლინტონით უკმაყოფილოა

ზაფხულის პოლიტიკურად მკვდარი სეზონიც ოდნავ გამოცოცხლდა და ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი კიდევ დიდხანს იქნება ტრაბახისა თუ ერთმანეთისთვის ნიშნის მოგების მიზეზი. რა შედეგს მოიტანს საქართველოსთვის „ამერიკის მორიგი წყალობა", ამას დაზუსტებით ვერავინ გეტყვით, თუმცა, რა თქმა უნდა, საკუთარი ვერსია, ასე თუ ისე, ყველას აქვს და თან, როგორც ამტკიცებენ, რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული.

მაგალითად, „ხალხის პარტია" აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს საქართველოში ვიზიტისთვის მადლობას უხდის, თუმცა პარტიის წარმომადგენლების აზრით, საქართველოსთვის გასაკეთებელი საქმე ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს და მაღალი რანგის სტუმრის ვიზიტმა მდგომარეობის უკეთესობისკენ შემობრუნების მცდარი მოლოდინი არ უნდა გააჩინოს.

„ხალხის პარტიის" ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა ალექსანდრე შალამბერიძემ განაცხადა, რომ ჰილარი კლინტონმა საქართველოს პრობლემებთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა.

— პირველი და უმთავრესი ეს არის დემოკრატიის განვითარების საკითხების გადაწყვეტა, რომელიც ამდენი წელია გადაუწყვეტელ პრობლემად იქცა. საჯარო ბიბლიოთეკაში სიტყვით გამოსვლისას კლინტონმა „ვარდების რევოლუცია" მოიხსენია იმ წყალგამყოფად, რომელმაც საქართველო არშემდგარ სახელმწიფოთა რიგებიდან გამოიყვანა და რომელმაც სათავე დაუდო დემოკრატიას, კლინტონის სიტყვები მადლობას იმსახურებს, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ მოსახლეობის პრობლემები უცვლელი დარჩა, — აღნიშნა შალამბერიძემ და აქვე დასძინა, რომ „ვარდების რევოლუცია" არ აღმოჩნდა არც აზრის თავისუფლად გავრცელებისა და არც ღირსეული ცხოვრების საწინდარი. დემოკრატიული განვითარებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები კი სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილება იქნება.

ჰილარი კლინტონის ვიზიტი ლეიბორისტებმაც შეაფასეს. პარტიის საერთაშორისო მდივანმა ნესტან კირთაძემ განსაკუთრებული ყურადღება სიტყვა „ოკუპაციაზე" გაამახვილა, რომელიც რამდენჯერმე გაისმა სახელმწიფო მდივნის მიერ.

პრესკონფერენციაზე ნესტან კირთაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება ნეტარებას გამოხატავს ტერმინი „ოკუპაციის" გამო და სრულიად არ აწუხებს დაშლილი საქართველოს უმძიმესი რეალობა, რისთვისაც ყველაფერი თავად გააკეთეს.

კირთაძის შეფასებით, ჰილარი კლინტონმა გარანტია გასცა, რომ აშშ 2013 წლამდე ქართველი ხალხის პროტესტის მიუხედავად მიხეილ სააკაშვილის შეცვლას არ აპირებს. — გარანტია გაიცა ასევე, რომ ტერმინი „ოკუპაციის" დამკვიდრებით სააკაშვილი ააცილონ მოსალოდნელ პასუხისმგებლობას, რომელიც მას ემუქრება რომის სტატუტის საფუძველზე ჰააგის ტრიბუნალის წინაშე. პოლიტიკური გარანტია გაიცა ასევე სააკაშვილის ორ პოლიტიკურ პარტიაზე. ირაკლი ალასანიამ გულუბრყვილო განცხადებით ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერში აღნიშნა, რომ 2013 წლიდან აშშ მას და გიორგი თარგამაძეს გადააბარებს ხელისუფლებას, — განაცხადა „ლეიბორისტების" ერთ-ერთმა ლიდერმა.

ჯერ კიდევ ჰილარი კლინტონის ვიზიტის დღეს თავად ოპოზიციონერების შეფასებები გაცილებით რბილი და მომავლის იმედით აღსავსე იყო.

**ანა წიწილაშვილი**

**ვინ როგორ ხედავს**

# ტერმინ „ოკუპაციის" გამოყენებას დეოკუპაციისთვის ხელსაყრელი საერთაშორისო ფონის შექმნა მოჰყვება

**გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში გიორგი მამულია**

**— როგორ შეაფასებთ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ვიზიტს?**

— ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვიზიტი თბილისში და მის მიერ გაკეთებული განცხადებები იმ პოლიტიკური კურსის კრისტალიზაციად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ვაშინგტონმა ე.წ. „გადატვირთვის" პოლიტიკის კონტექსტში საქართველოსთან მიმართებაში, მართალია, საკმაოდ არამყარი და არათანამიმდევრული სახით, მაგრამ მაინც თავიდანვე ჩამოაყალიბა. ხსენებული კურსის კვინტესენცია ის გახლავთ, რომ „გადატვირთვის" პოლიტიკის მიუხედავად, აშშ საკუთარი პრინციპებისა და მოკავშირეების დაცვაზე ხელს არ აიღებს. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ფაქტორების გარდა, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში შექმნილ შიდაპოლიტიკურ სიტუაციასაც, კერძოდ, თბილისის მერისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმატებით ჩატარებულ არჩევნებს, რამაც მთელს მსოფლიოს ქვეყანაში მდგომარეობის რეალური სტაბილიზაცია უჩვენა.

**— სახელმწიფო მდივნის თბილისში ვიზიტის დროს გაკეთებულ განცხადებებში არაერთხელ იყო ნახსენები სიტყვა „ოკუპაცია". რა რეალური მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინის გამოყენებას საქართველოსთვის და მოჰყვება თუ არა ამას აშშ-ის მხრიდან რეალური ნაბიჯები?**

— ამ ტერმინის გამოყენებამ საბოლოოდ დაასამარა როგორც რუსეთში, ისე, სამწუხაროდ, საქართველოში მოქმედ იმ პირთა იმედები, რომლებიც „გადატვირთვის" პოლიტიკას ვაშინგტონის მხრიდან პოსტსაბჭოურ სივრცეზე დე ფაქტო ხელის აღებას უკავშირებდნენ. რაც შეეხება იმას, თუ რა რეალურ ნაბიჯებს უნდა ველოდოთ ამის შედეგად ვაშინგტონის მხრიდან, ამის შესახებ საკმაოდ ნათლად ილაპარაკა თავად სახელმწიფო მდივანმა თბილისში ვიზიტის დროს. უპირველეს ყოვლისა, ეს გულისხმობს თბილისისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი საერთაშორისო ფონისა და კონტექსტის შექმნას ოკუპირებული ტერიტორიების თანდათანობითი დეოკუპაციისა და კონფლიქტების მოწესრიგების თვალსაზრისით. ფაქტობრივად, ეს კურსი სრულ შესაბამისობაში მოდის იმ რეალობასთან, რომელიც შექმნილია არა მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არამედ მთლიანად საქართველოში და საერთოდ კავკასიის რეგიონში. იმისათვის, რომ ვაიძულოთ კრემლი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარები გაიყვანოს, საჭიროა თავად აფხაზებისა და ოსების საქართველოსკენ შემობრუნება, რათა ამით ბოლო მოეღოს ამ ხალხებით კრემლის ტრადიციულ იმპერიულ მანიპულაციებს. ამის ერთადერთი საშუალება კი სადღეისოდ საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და დემოკრატიული განვითარებაა. სწორედ ეს ფაქტორი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული განუკითხაობის, კორუფციის, კლანურობისა და კრიმინალის ფონზე უნდა გახდეს ამ რეგიონების საქართველოში რეინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი მექანიზმი.

**— ვიზიტის ფარგლებში ჰილარი კლინტონი მხოლოდ ორ ოპოზიციონერ ლიდერს — ირაკლი ალასანიასა და გიორგი თარგამაძეს შეხვდა. რით შეიძლება იყოს განპირობებული, თქვენი აზრით, ეს არჩევანი?**

— როგორც ჩანს, აქაც ბოლო არჩევნების შედეგებმა იჩინა თავი. ამასთან, ვაშინგტონმა არჩევანი იმ პროდასავლურ და არარადიკალურ ოპოზიციონერ პოლიტიკოსებზე შეაჩერა, რომლებიც სადღეისოდ ქართულ საზოგადოებაში ხელისუფლების შემდგომ მაქსიმალური მხარდაჭერით სარგებლობენ. ამ მხრივ ირაკლი ალასანიასთან შეხვედრა სავსებით ბუნებრივია. რაც შეეხება გიორგი თარგამაძეს, მან თავისი გაერთიანების რიგებში, რომელიც ფორმალურად ტრადიციულ ქართულ ფასეულობებს ეყრდნობა, ფაქტობრივად შევარდნაძისდროინდელი პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლები გააერთიანა, რომლებთან თანამშრომლობაზეც თავის დროზე საკმაოდ წინდაუხედავად უარი თქვა პრეზიდენტმა სააკაშვილმა და რომლებისთვისაც, მათი „პარტოკრატიული" წარმოშობის მიუხედავად, პრორუსული ორიენტაცია მიუღებელი აღმოჩნდა. იმ ფონზე, რომ კრემლი საქართველოს შიგნით დესტაბილიზაციას სწორედ შავრაზმელი ორთოდოქსი რადიკალების საშუალებით ცდილობს, თარგამაძესთან შეხვედრა პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე სავსებით გასაგებია.

**— უცხოურ მედიაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას პოლიტიკის შესახებ არაერთი კრიტიკული სტატია იბეჭდება. ბარაკ ობამას აშშ-ის ისტორიაში ყველაზე სუსტ პრეზიდენტ კარტერსაც კი ადარებენ, რომლის მმართველობისას აშშ-მა ირანი დაკარგა. აშშ-ის პრეზიდენტის პოლიტიკის მიმართ კრიტიკა ვაშინგტონში გავლენიანი სენატორების მხრიდანაც არაერთხელ გაჟღერებულა. რით შეიძლება, აიხსნას ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში საქართველოს მიმართ ობამას ადმინისტრაციის გააქტიურება და ხომ არ შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ობამას პოლიტიკის მიმართ კრიტიკის გაძლიერებამ საქართველოსადმი პოლიტიკის გააქტიურებაში დიდი წვლილი შეიტანა?**

— ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია. მე მგონი, აქ თავი იჩინა პრობლემათა სრულმა კომპლექსმა, მათ შორის — იმანაც, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეზე ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა (ვგულისხმობ მოვლენებს უკრაინასა და ყაზახეთში) კრემლის მესვეურებს იმის მტკიცების საბაბი მისცა, რომ ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე დასავლური დემოკრატიის განვითარება ორგანულად არის შეუძლებელი. ეს კი „გადატვირთვის" კონტექსტშიც კი მიუღებელი აღმოჩნდა პრეზიდენტ ობამასთვის, რომელსაც, როგორც მართებულად მიუთითეთ, ისედაც აკრიტიკებდნენ სისუსტისთვის და კრემლის მიმართ ლმობიერებისთვის. ასეთ ფონზე ბოლო არჩევნების შემდეგ საქართველოში მომხდარი სტაბილიზაცია, ვაშინგტონის აზრით, სწორედ პოსტსაბჭოთა სივრცეზე დემოკრატიული და ეკონომიური განვითარების წარმატებული და დროული მაგალითი გახდა. სწორედ ამით აიხსნება ის მკვეთრი გააქტიურებაც, რომელიც არჩევნების შემდეგ საქართველოს მიმართ დასავლეთის ქვეყნებმა გამოიჩინეს.

**ლევან ჭითანავა**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი"**

**ცხელ გულზე**

# გამეცინებოდა, რომ არ მეტირებოდეს!

**იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ დაგვცინეს, გაგვამასხარავეს, იმიტომ, რომ სხვას ვერაფერს ვუწოდებ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის „ისტორიულ" ვიზიტს საქართველოში, რომელიც მართლაც უცნაური ფორმატით დაიწყო — საქართველოს ქალების ემანსიპაციაზე და ხელისუფლებაში გენდერულ ბალანსზე საუბრით ეროვნულ ბიბლიოთეკაში.**

არა, ჰილარი კლინტონს ათიოდე კითხვაზეც მოუწია პასუხების გაცემა, მაგრამ ხომ წარმოგიდგენიათ რა „უხერხულ" კითხვებს დაუსვამდნენ: ჩიორა თაქთაქიშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, თინა ხიდაშელი, და ჰოი, საკვირველებავ, ზურგიდან, მაგრამ მაინც დავლანდე ჟურნალ „ლიბერალის" მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი. თუმცა, რატომ „ჰოი, საკვირველებავ", რადგანაც საბოლოო ჯამში ისე გამოვიდა, რომ ჰილარი კლინტონი მიშა სააკაშვილის ხელისუფლების მხარდასაჭერად ჩამოვიდა და არა ქართველი ხალხისა. ჰოდა, საკვირველი ის უფრო იქნებოდა, „ნაცების" შეფარულ თუ აშკარა მეხოტბეებს რომ არ „ეგულავათ" ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ვთქვათ, ნესტან კირთაძისთვის მიეცათ კითხვის დასმის საშუალება, რომელმაც დანანებით თქვა, პირველკლასელივით მთელი შეხვედრის მანძილზე ხელი აწეული მქონდაო, მაგრამ...

იხ. 4 გვ.



მებრძოლი გრუზინოფობია

***გრუზინოფობიამ რუსეთში აპოგეას მიაღწია.***

***ქართველთმოძულეობას იქ საერთოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ხანგრძლივი, ბოროტი და განტოტვილი.***

***როგორც გინდა თქვით და სწორედ გრუზინოფობიამ მისცა ბიძგი აგვისტოს ომს, იმას, რომ დავკარგეთ ცხინვალის რეგიონი, აფხაზეთი, დავკარგეთ იმედი, რწმენა, ერთმანეთის ნდობა და სიყვარული. მაგრამ ეს ზღვარი არ არის, შეიძლება უფრო მეტიც დავკარგოთ.***

***არის ამის მინიშნება და მუქარა. ამ მუქარისა და მინიშნების ერთ-ერთი აშკარად გამოხატული გზავნილი მგონია სააგენტო „როსბალტის“ 3 ივლისს გამოშვებული მასალა „საქართველო: გზა სირცხვილისკენ“ (ავტორი ალბერტ ვენალაინენი).***

# მოწმე XIII საუკუნიდან,

## ანუ საქართველო „ნამდვილი და გამოგონილი“

დასაწყისში ავტორი გვახსენებს: „სააკაშვილი ტყავიდან ძვრება, რომ როგორმე მოსკოვთან დალაპარაკებას მიაღწიოს, მაგრამ მოსკოვი მას ძაღლადაც არ აგდებს, როგორც პრეზიდენტს. გასაკვირი როლია: არავის არ უნდა საქმე იქონიოს ლიდერთან, რომელმაც საკუთარ ქვეყანას ნებისმიერ ღირებულებაზე მეტი ბოროტება გაუკეთა. თავის დიდ რეფორმატორად მიჩნევდა და მართლაც იყო ასეთი, ძალიან განსხვავებული რამ არის. ევრაზიის კონტინენტზე დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო, ტექნოლოგიური და სამხედრო გარდაქმნებით, რომელსაც ეფექტიანი შედეგები მოჰყვა, ისტორია თავის დაამახსოვრებს მხოლოდ პეტრე დიდსა და იოსებ სტალინს. გახსოვთ „ხალხთა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი“? საქართველოს პრეზიდენტი მიზნად ისახავს გაიმეოროს ის, ოღონდ პატარა სახელმწიფოებრივ მასშტაბში. სამიოდე მობილიზებული ჰყავს ისტორიკოსები და გეოგრაფები, ლინგვისტები და ეთნოგრაფები, პოლიტოლოგები და ჟურნალისტები, მოკლედ მთელი საპრეზიდენტო მხედრობა. ეს არმია დღედაღამ, განუწყვეტლივ გადააწყობს, გადააბრუნ-გადმოაბრუნებს საქართველოს ისტორიას, რათა „პატრონის“ სურვილს ფეხი აუწყოს“.

მკითხველი უკვე ხვდება, რომ წერილის ავტორი რაღაც საზიზღრობას გვიმზადებს, რაკილა ისტორიკოსების, გეოგრაფების, ლინგვისტების, ეთნოგრაფების, პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა არმიის საერთო მცდელობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, რათა გადააწყონ, გადააბრუნ-გადმოაბრუნონ საქართველოს ისტორია.

მოუსმინეთ: **ნათქვამია, „ვინც წარსულს პისტოლეტს ესვრის, მას მომავალი ზარბაზნით უპასუხებსო“. მით უფრო, რომ საქართველოს ისტორია მეთორმეტე საუკუნემდე მითოლოგიზებულია. და ეს ბრწყინვალედ და არგუმენტირებულად დაამტკიცა ცნობილმა პოლონელმა ორიენტალისტმა, პოლიტოლოგმა და აღმოსავლეთმცოდნემ ოსიპ სენკოვსკიმ, რომელმაც 1838 წელს გამოსცა ისტორიული ესე „ზოგიერთი ეჭვი საქართველოს ისტორიის შესახებ“. ავტორი დიდების შარავანდედს აცილებს მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის წევრის, აღმოსავლეთმცოდნე მარი ბროსეს თეორიას, რომ „ქართველები ძალიან ძველი ხალხია“. სენკოვსკი თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ეყრდნობა არაბი ფილოლოგის, ისტორიკოსის, გეოგრაფისა და მწერლის იაკუთა იბნ არ რუ-მის (მისი სრული სახელია იაკუთა იბნ აბდ ალ-ლაჰ ალ-რუმი ალ ჰამავი – რედ.) შრომებს, სტრაბონის, პლინიუსის, დიონისის, პტოლომეს, პლუტარქეს, ტაციტის და კლასიკური ხანის მწერალთა გამოკვლევებს. რწმუნდება, ქართველებმა მიითვისეს სხვა ტომთა მითები, მთავრები და მეფეები. ისინი საერთოდ არ ცხოვრობდნენ იმ მიწებზე, რომლებსაც ქვეყნის დღევანდელი მმართველები „იმთავითვე ქართულად“, ხოლო სხვა ხალხებს – მოსულებად მიიჩნევენ. მდინარე მტკვრის (კურას) სახელწოდება არაბულ გამოთქმაში ტრანსფორმირდა ჯიურზანად. ასევე ერქვათ ტომებს, რომლებიც მის ნაპირებზე ცხოვრობდნენ. აზერბაიჯანელები და თურქები საქართველოს დღემდე უწოდებენ გიურჯისტანს, ხოლო მის მოქალაქეებს გიურჯებს“...**

აი, ასეთი „უტყუარი, გამანადგურებელი ისტორიული სიმართლე“ მიაწოდა ვინმე ალბერტ ვენალაინენმა რუს (რუსულენოვანძ მკითხველს.

ამ საქმეში ჩემი ერთობ მოკრძალებული ცოდნის საფუძველზე მინდა მკითხველს განვუმარტო: გამოჩენილი ფრანგი მკვლევარი მარი ბროსე თავგამოდებით იცავდა საქართველოს მწიგნობრობას ისეთი ბნელი პიროვნებების გამოხდომებისგან, როგორიც იყო „ბიბლიოტეკა დლია ჩტენიას“ რედაქტორი იოსიპ (იულიანძ ივანეს ძე სენკოვსკი (1800-1858ძ, რუსი (და არა პოლონელი, როგორც ა. ვენალაინენი წერს, რათა უფრო „მიუკერძოებლის“ მანტია მოასხას. ის კაცი სწორედ რუსი გახლდათ აღზრდა-განათლებითა და სულისკვეთებით, როგორც მაგალითად ცნობილი რუსი ძერჟიმორდა ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკიძ მწერალი, რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელიც თხზულებებს აქვეყნებდა ბარონ ბრამბეუსის ფსევდონიმით. ეს კაცი ეჭვს გამოთქვამდა ქართული ეროვნული ლიტერატურის არსებობის, საქართველოს ისტორიკოსთა და კერძოდ, ბროსეს კვლევის საფუძვლიანობის მიმართ.

ბროსესთვის განსაცვიფრებელი იყო სენკოვსკის მტკიცება – „ქართული ლიტერატურა ღარიბიაო“, როცა თვით სენკოვსკის მიერ შედგენილ სტატისტიკურ ცნობებში ავტორი იძულებული იყო დაესახელებინა... 22 ქართველი მწერალი.

ბროსე ამ ცნობებს უმატებდა ქართულ წიგნთა კატალოგებში მოცემულ 350 წიგნს. მას მეტად აკვირვებდა ის გარემოება, რომ სენკოვსკის და ქართული კულტურის სხვა მოწინააღმდეგეებს ავიწყდებოდათ ბერძნული და ლათინური ლიტერატურა, რომელიც ამაზე მდიდარი არ ყოფილა. და თუ ძველი ქართული ლიტერატურის დიდი ნაწილი საეკლესიო და თარგმნილი თხზულებებისგან შედგებოდა, ეს სრულებითაც არ ამცირებდა მის ღირსებას და აიხსნებოდა ქართველთა განწყობილებით, რომელიც გამომდინარეობდა სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობიდან. ამ მხრივ ბროსე პარალელს ავლებდა ევროპის შუასაუკუნეების ლიტერატურასთან, სადაც საქართველოს მსგავსი მდგომარეობა იყო შექმნილი და ასევე საეკლესიო და თარგმნილ ლიტერატურას ენიჭებოდა უპირატესობა.

პირველწყაროებზე დაყრდნობით ბროსე აცხადებდა: საქართველომ უკვე დიდი ხანია დაიჭირა საპატიო ადგილი იმ ქვეყნებს შორის, რომელთა მწიგნობრობა იპყრობს ევროპის ყურადღებასო. იგი საქართველოში ისტორიული ძეგლების არსებობის დასამტკიცებლად იმოწმებდა ცნობილი მოგზაურების შარდენის, ტურნეფორის, გულდენშტეტის და სხვათა ცნობებს და დასძენდა: „ვინც ამბობდა, ვერაფერი საგულისხმო ვერ ვნახე ამ ქვეყანაშიო, ეტყობა, განგებ ხუჭავდა თვალებს, რათა არაფერი დაენახა“.

სენკოვსკი სწორედ ასეთი ტიპური ხელოვნურად, უფრო სწორად, გამიზნულად, განგებ დაბრმავებული მწერალი იყო.

ახლა არაბი მწერლისა და მოგზაურის იაკუთის ქართველთათვის „თავის მომჭრელ“ ცნობაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის და მისი მცხოვრებლების არაბულ დასახელებას შეეხება.

პირველი კონტაქტები საქართველოსა და არაბ მუსლიმებს შორის VII საუკუნის 40-50-იან წლებში დამყარდა. აქედან მოყოლებული, საუკუნეების მანძილზე, საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები ჰქონდა არაბულენოვან სამყაროსთან. VII ს. 50-იან წლებში, სომხეთის დაპყრობის შემდეგ არაბთა ლაშქარი ქართლისკენ დაიძრა. ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ II-მ ბრძოლას თავი აარიდა და არაბებს მორჩილება გამოუცხადა. ქართლი (იბერიაძ არაბულად **ჯურზან-ად** იწოდებოდა. ეს ის ქვეყანა იყო, რომელიც არაბი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ალ-იაკუბის (გარდ. 897 ან 905 წ.ძ ცნობით, არაბთა სარდალმა ჰაბიბ ბ. მასლამამ დაიპყრო. სარდალს დაპყრობილ ქვეყანაზე პირველი ცნობები სირიული ინფორმაციით ჰქონდა მიღებული. სირიულში ქართლი **„გურზანად“** იწოდებოდა. რადგან არაბულში ამ სიტყვის პირველი ასო არ არის, სახელწოდება არაბებმა **ჯურზანით** შეცვალეს.

**ჯურზანი** არაბულ წყაროებში ეთნიკონია როგორც ქვეყნის, ისე მისი მოსახლეობის აღმნიშვნელი. მაგალითად ალ-მასუდი ბაბ ალ-აბვაბის (დერუბენდის) მთების მეზობლად მცხოვრებ ხალხთა შორის **ალანების, ხაზარებისა და აბხაზების** გარდა ასახელებს **ჯურზანს** – ე. ი. ქართლის მცხოვრებთ, იბერიელებს, ქართველებს. ქართველთა ტოლფასი ეთნიკური ტერმინები, აგრეთვე, **ალ-ჯურზ** და **ალ ჯურზიია**. ალ-მასუდი X ს. შუა ხანებისთვის ასახელებს ალ-ჯურზიიას სამეფოს. როგორც ქართველი მკვლევარი გოჩა ჯაფარიძე წერს, აქ აშკარა გრაფიკული შეცდომაა, **ალ-ჯურზიია** უნდა იყოს. XIII ს. არაბი ავტორი იაკუთი (ვენალაინენის საყრდენი), რომელიც ალ-მასუდის იმოწმებს, იძლევა სწორედ **ალ-ჯურზიიას** ფორმას, **ალ-ჯურზიიას** სამეფოს შესაბამისად ქართველთა სამეფოს სამხრეთ საქართველოში. ალ-მასუდის ცნობით, **ალ-ჯურზიია**, რომელსაც ეწოდება **ხაზრან, ჯურზან,** მრავალრიცხოვანი ქრისტიანი ხალხია.

რა გამოდის ამ არაბული ფილოლოგიური წიაღსვლიდან. ის, რომ არაბები საქართველოს **ალ-ჯურზიიას** უწოდებდნენ (იყო პარალელური ფორმა **ალ-ჯურჯანიც**ძ. ამისთვის მოიხმო ამ ვენალაინენმა ცხონებული იაკუთი მოწმედ თავის გრუზინოფობიურ „მტკიცებულებაში“.




რა არის ამაში ჩვენთვის ისეთი თავისმომჭრელი, რომ მაინცდამაინც XIII საუკუნის გეოგრაფი და მოგზაური შეაწუხა. თანაც ეს **ალ-ჯურზიია** იაკუთის მიკვლეული და აღმოჩენილი კი არ არის, არამედ X საუკუნის ისტორიკოს ალ მასუდისაა.

ასე და ამრიგად,ბატონი ვენალაინენი რქებით გვაწვება, გინდა თუ არა, მითოლოგიზებული წარსული გაქვთო, ქართველები ისტორიის მოსახვევებში სულაც გუშინ თუ გუშინწინ გამოჩნდითო, სხვათა ლეგენდები და მეფეები მიითვისეთო და საერთოდ არ ცხოვრობდით იმ მიწებზე, ახლა რომ თქვენსას უწოდებთო. კაცმა არ იცის, საიდან ხართ ჩამოთრეულებიო. მოწმეებიც ხომ ჰყავს...

ქართველთმოძულეობის დიდოსტატებმა რა არ დაგვაბრალეს, რა არ გვაკადრეს. თვით ვენალაინენისეული (თქვენ მაგ მიწაზე არ გიცხოვრიათო, ისტორია მოპარული გაქვთო) როდია ახალი და ორიგინალური. რუსული სიტყვიერების ცოცხალი კლასიკოსის **დიმიტრი ბალაშოვის** „მეცნიერული“ მტკიცებით, **საქართველოს ამჟამინდელი ისტორიულ-გეოგრაფიული მდგომარეობა არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება ისტორიულ რეალიებს** (იგულისხმება 2008 წ. აგვისტოს ომამდელი მდგომარეობაძ, **რამეთუ რუსეთის ბუნებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ, ქართული წარმოშობის კომუნისტი ლიდერების „პროტექციით“ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში მოხვდნენ. ისინი უნდა დავიბრუნოთ, რამეთუ... რუსეთის, უზარმაზარ რეგიონს საფუძვლად უდევს ხალხთა ბუნებრივი ერთობაო“.**

როგორია!

**დერჟავნიკების „სინანულიანი“ შეფასებით, ქართველობამ, როგორც ყოფითმა რეალობამ, ამოწურა თავისი თავი, გადაშენების გზაზეა და გადარჩენის არავითარი შანსი არა აქვს. ერთნი „უკიდურეს ნაციონალისტებს“** გვიწოდებენ, მეორენი – **„ფაშისტებს“,** მესამენი **„ოკუპანტებს“ (?!),** მეოთხენი – **„ბალასტს“,** მეხუთენი – **„ვაჭრუკანებს“,** სხვები – **„გარეუბნის ხალხს“, „ნახევრადუწიგნურ აზიელებს“, „მოთარეშეებს“, „დამპყრობლებს“**...

გამოიყენება ყველა გზა და საშუალება, განსაკუთრებით, შუში სიცრუე. მაგალითად, **ვ. კოჟინოვი** „ამტკიცებს“, **საქართველოს სახელმწიფო ენა აფხაზური ენა იყოო, სამხრეთ ოსეთი ათადან-ბაბადან რუსეთს ეკუთვნოდა და ა. შ.**

აღსანიშნავია **ვ. სტატსკის, ა. მიტინის, ვ. ილინის, ვ. შურიგინის, ი. ალეშკოვსკის, ა.პროხანოვის, ს. სოკოლკინის** ავბედითი როლი ანტიქართულ გაქანებაში. ეს მათი განსაზღვრებაა, რომ „სხვები“ არა მხოლოდ **სხვა ადამიანები** არიან, არამედ **„ბალასტები“, „ბანდიტები“, „გოგრები“** და მათ სიტყვაც არ ამოეღებათ შესაძლებლობებისა და მოთხოვნების თანაბრობაზე.

**ვიტალი კოროტიჩის ცნობით, რუსების 35 პროცენტი მიიჩნევს, რომ არიან ერები, რომელთა მიმართ მხოლოდ ზიზღი შეიძლება გქონდეს. ედუარდ ლიმონოვმა შეთხზა „დამნაშავე ხალხების შავი სია“, რომელიც არასრულფასოვანი – „პარაზიტ ერებს“, „შავებს“, „კავკასიური ეროვნების პირებს“ გვაცნობს. მკვლევარი ს. ჯურგინიანი დაუცხრომლად იღვწოდა,** რათა რუსეთი საქართველოსთვის მიეძსია და ამით სომხეთისთვის სარგებელი მიელო. ის და მისი თანამოაზრენი **ა. მიგრანიანი, მ. მამიკონიანი** და სხვები დაუცხრომლად იმეორებდნენ, **ქართველები რუსეთის უფლებებს ლახავენო („საქართველოს ბრალია ყველა უბედურება, რაც რუსეთს სჭირს“, „საქართველო არის ბოროტების სამეფო“) და ამით აქეზებდნენ, თავი დაეცვათ ისეთი ნაცადი იარაღით, როგორიც ნაჯახია.**

საქართველოს და ქართველების ლანძღვაგინებამ აპოგეას აგვისტოს ომის შემდეგ მიაღწია, ლამის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ამაღლდა: **„საქართველო – რეციდივისტი“ (გ. პავლოვი), „საქართველო – სუვერენული გუბე“ (მ. ლეონტიევი), „საქართველო – მეძავი“ (ვ. ჟირინოვსკი), „საქართველო-პროვოკატორი“ (ა. გამაიუნი), „საქართველო – ჭიანჭველების ბუდე“ (ა. პუშკოვი), „საქართველო – მათხოვარი“ (კ. რაში), „ქართველები – გაუთლელი და უნიჭო პედერასტები (დ. მალკოვსკი), „ქართველები – ვირები“ (ვ. შაბანოვი), „ქართველები – კურდღლები“ (დ. როგოზინი), „ქართველები – ძაღლები“ (ბარანცევიჩი) და ა. შ.**

თუ ვინმეს სურს, რომ ღრმად გაერკვეს ქართველთმოძულეობის, როგორც მოვლენის არსში, წაიკითხოს პროფესორების **ომარ გოგიაშვილისა** და **ნოდარ ფორაქიშვილის** 2004 წელს რუსულ ენაზე გამოცემული შესანიშნავი ანალიტიკური წიგნი „უგუნურება და უგუნურები (არასახალისო გრუზინოფობია“ძ, შემდეგ ამ ნაშრომის მეორე წიგნიც გამოვიდა...

მაგრამ ისევ ვენალაინენს მივყვეთ. მას შემდეგ, რაც დაუზოგავად გვასხა ლაფი და წუნწუხი, ეს კაცი ცრემლებს ღვრის, რუსებს, რომლებიც ქართველებს ძმებად და ერთმორწმუნეებად მიიჩნევენ(?!) განსაკუთრებით სტკივათ ოფიციალური თბილისის რუსოფობიური განცხადებების მოსმენაო. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ რუსოფობიურ მეტასტაზებს ჯერ კიდევ ღრმად არ შეუღწევია პატარა ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი თანდათან მიდის იმ შეგნებამდე, რომ მისი არსებობისა და სულიერების მუქარა მოსკოვიდან კი არა, მათი საკუთარი მმართველებიდან მოდის. ეს გზა არასოდეს არ მიგვიყვანს ტაძრამდეო.

თუმცა თურმე **„არც რუსებს აწყენდათ საქართველოს შესახებ საკუთარი მითების რევიზიის ჩატარება, მარცვლის ჩენჩოდან გამორჩევა. აი, მაგალითად, რას იგონებს მიხეილ ჟვანეცკი: ჩემმა მეგობარმა რეზო გაბრიაძემ, რომელიც ძალიან მიყვარს, მითხრა, „მე მათთვის, მიშა, მოვიგონე საქართველო, მათ ეს დაიჯერეს“. გახსოვთ ფილმი „არ დაიდარდო?!“ ეს რეზო გაბრიაძემ მოიგონა საქართველო, რომელიც არასოდეს არსებულა, ფრანგულ ლიტერატურულ ნიადაგზე. ყველამ დაიჯერა, რომ ასეთი საქართველო არსებობდა, თითქოს განათლებული“.**

**რევაზ გაბრიაძე მწერალი, რეჟისორი, დრამატურგი, მხატვარი, მოქანდაკე, დიზაინერია. მან მრავალი პოპულარული კინოფილმისთვის დაწერა სცენარი. რუსეთში დღემდე უყვართ იგი „პასპორტისთვის“, „მიმინოსთვის“, „ქინ-ძა-ძასთვის“, საწყენია, მაგრამ ეს ლამაზი ზღაპრებია ქართველებზე, რისთვისაც უყვართ ისინი.“**

წყალგაუვალი ლოგიკაა: თან უყვართ, თან სძულთ! მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარია, რომ თურმე უყვართ იმისთვის, რაც არ არსებობს, რაც მოგონილია, როგორც ჩვენი ავტორი ამბობს, რეზო გაბრიაძისა და სხვათა მიერ. მე არ ვიცი, ბატონ რეზოს რაში დასჭირდა არარსებული საქართველოს გამოგონების ხაზგასმა და ჟვანეცკისთვის გულის გადაშლა, ან იყო კი ეს „გულის გადაშლა“ საერთოდ? მაგრამ იმას კი კარგად ვხედავ, რომ ამ „აღიარებას“ მარიფათიანად იყენებენ ყველა ჯურის ჩასაფრებული ქართველთმოძულენი.

მაგრამ ვერც ამით მოგვაყენეს „სასიკვდილო დარტყმა“. ერთიით მეტი, ერთიით ნაკლები, ბევრს არაფერს ცვლის. ალბათ, მოგვიხდება კბილი კბილს დავაჭიროთ, დარტყმებს გავუძლოთ და ფეხზე მყარად წამოვდგეთ, რათა ნამდვილი საქართველო მაქსიმალურად დავამსგავსოთ „მოგონილს“. რაც მთავარია, მტერი მოყვრისგან გავარჩიოთ.

**ალეკო ასლანიშვილი**

◎ ცხელ გულზე

# გამეცინებოდა, რომ არ მეტირებოდეს!

(მეორე გვერდიდან)

მაპატიონ, მაგრამ ახია ქალბატონ კირთაძეზეც და ფიქრია ჩიხრაძეზეც, რადგანაც ჭკუა არ ეყოთ, რომ პროტესტის ნიშნად არ მისულიყვნენ მსგავსი ფორმატის შეხვედრაზე, რაც, სხვათა შორის, ერთადერთმა ნინო ბურჯანაძემ გააკეთა – არ მივიდა ჰილარი კლინტონის „ლექციაზე“, რითიც არა მხოლოდ თავმოყვარეობა არ შეილახა, კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მტერსა და მოყვარეს, რომ ჭკვიანი ქალბატონია!

**არა, მთლად მასეც არ ყოფილა! ხუმრობა საქმეა: აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა სამჯერ (!!!) ახსენა სიტყვა „ოკუპაცია“, რაზედაც უკვე აჭყლოპინდნენ და კიდევ დიდხანს იჭყლოპინებენ ჩიტიძის, რონდელის, ბაქრაძის მსგავსი „ექსპერტები“ – კიდევ ორი ხსენება ამ ჯადოსნური სიტყვისა და რუსები თავქუდმოგლეჯილები მოკურცხლავდნენ ცხინვალ-სოხუმიდან.**

ჩვენაო, ბრძანა სახელმწიფო მდივანმა, ხშირად ვახსენებთ რუსებს, რომ უნდა შეასრულონ მედვედევ-სარკოზი-სააკაშვილის შეთანხმებაო. იმაზე არაფერი თქვა, რომ ე.წ. ჟენევის ფორმატი იქნება თუ ობამა-მედვედევის ერთობლივი „ჰამბურგერობა“, რუსები მშვიდად და მარტივად პასუხობენ, რომ მათ შესასრულებელი არაფერი აქვთ, რადგანაც საქართველოს ტერიტორიიდან მათ დიდი ხანია გაიყვანეს ჯარები და ის ტერიტორია აღარ არის საქართველო, სადაც დგანან.

ანუ, ამ მთავარ საქართველოსთვის მთავარ საკითხში ვერასოდეს შეთანხმდებიან აშშ-რუსეთი. უფრო სწორად, ამაშიც შეთანხმებულები არიან – ერთი, შიგადაშიგ და ალაგ-ალაგ ახსენებს ხოლმე ოკუპაციას, მეორე კი ყურსაც არ შეიბერტყავს და ორივე ერთად ავღანეთის, ერაყის, ირანის თემებზე ჩაეხუტებიან ერთმანეთს.

აკი განსაკუთრებულად გაესვა ხაზი აშშ-ს სახელმწიფო მდივნისგან ავღანეთში ქართული საზარბაზნე ხორცის ყოფნის მნიშვნელობას. აი, ეს არის მთავარი ინტერესი აშშ-ის საქართველოში, რომლის ხელისუფლება, იმ ფონზე, რომ ავღანეთიდან ყველას გაქცევაზე უჭირავს თვალი, სააკაშვილი მზად არის ახალ-ახალი ბატალიონები მიავლინოს იქ.

ჰილარი კლინტონის „ზომაწონის“ ჩინოსანთა ვიზიტებში თუ ქცევაში, არაფერი ხდება შემთხვევით და მათ ყოველ სიტყვასა თუ ჟესტს, შეფარული თუ აშკარა დატვირთვა აქვს. ამრიგად, არც ის იყო შემთხვევითი, რომ ჰილარიმ, უკრაინა-პოლონეთ-აზერბაიჯან-სომხეთის შემდეგ საქართველო დესერტად ბოლოში მოიტოვა.

**ის რად ღირს, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ერევანში 1915 წლის გენოციდის მსხვერპლთა მემორიალი ყვავილებით შეამკო,**



**რითაც არ მოერიდა თურქეთის გაღიზიანებას. მაგრამ იგივე არ გააკეთა თბილისში, თუმცა ოკუპაცია სამჯერ ახსენა, მაგრამ იმავე ოკუპაციის მსხვერპლთა მემორიალზე მისვლა აზრად არ მოსვლია, რადგან ამით რუსეთის გაღიზიანებას მოერიდა.**

სამაგიეროდ მიშასთან ერთად ფეხით გაისეირნა მიშასმიერვე „გამშვენიერებულ“ თბილისში. შარდენის ცოდვილ ბარში ღვინოც დააგემოვნა მიშას მიერვე მოხმობილ ლამაზმანებთან ერთად, რომელთაგან ერთ-ერთი რომ რომელიმე მდგრადი განვითარების მინისტრად ვიხილოთ (ისე, მუშტრის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა ის გოგონები ჩვენმა პრეზიდენტმაძ არავის გაუკვირდება.

მთავარი და არსებითი ის იყო, რომ ოპოზიციიდან მხოლოდ გიორგი თარგამაძეს და ირაკლი ალასანიას შეხვდა, ანუ იმათ, ვინც რადიკალიზმით მიშას პრობლემებს არასოდეს შეუქმნის. და არც ავღანეთში ქართული შენაერთების ყოფნას გააპროტესტებენ.

აკი თავად ირაკლი ალასანიამაც აღნიშნა იმავე საღამოს „მაესტროს“ ეთერში, რომ ჰილარი კლინტონი იმ ოპოზიციას შეხვდა, რომელიც ხელისუფლების ალტერნატივად ჩამოყალიბდა და მზად არის მიშასგან ხელისუფლება გადაიბაროს! ამაზე ნინო ბურჯანაძემ პირდაპირ უპასუხა, ისინი, მიშას დანიშნული ოპოზიცია არიან, სიტყვა „გადაბარებას“, არც თუ კარგი სუნი უდისო.

ასეა თუ ისე, ეს პირველად მოხდა, რომ აშშ-ს უმაღლესი დელეგაცია, ფორმალურადაც არ შეხვდა ლეიბორისტებს, ეროვნულ ფორუმს, ნინო ბურჯანაძეს, ანუ იმათ, ვინც ითხოვენ ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს.

**აქედან კი ერთი დასკვნა უნდა გააკეთონ ზემოხსენებულმა ოპოზიციურმა პარტიებმა, რომ აშშ (ალბათ, ევროპაც) მხარს არ დაუჭერს ვადამდელი არჩევნების იდეას და რომ სააკაშვილს გარანტირებული აქვს აშშ-სგან მხარდაჭერა, როგორც მინიმუმ 2013 წლამდე ერთი პირობით: ნუ იქნება ოღონდ ბუნტი, ანუ მორიგი სამხედრო ავანტიურა, ავღანეთში ქართული შენაერთები თუ არ გაიზრდება, არც უნდა შემცირდეს, რის საფასურსაც აშშ სიამოვნებით გადაიხდის – შიგადაშიგ გააკეთებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ განცხადებებს, აღნიშნავს ქართული დემოკრატიისა და ეკონომიკის აშკარა მიღწევებს და, რაც მთავარია, ფინანსურ ინექციებს გაუკეთებენ საქართველოს ტრანშებისა თუ გრანტების სახით, რათა შიმშილით არ დავწყდეთ.**

ერთი სიტყვით, აშშ იმ გენიალურ ფორმულას უბრუნდება, რაც პირველად დიქტატორ სამოსას მიმართ გამოიყენეს – „ვიცით რომ ძაღლიშვილია, მაგრამ ის ჩვენი ძაღლიშვილია!“.

ამ პოლიტიკამ კი ის შედეგი შეიძლება გამოიღოს, რომ იგნორირებულმა და ამით შეურაცხყოფილმა ოპოზიციურმა ძალებმა, საკუთარი მფარველების ძებნა „სუფთა სინდისით“ სხვაგან დაიწყონ თუ გააგრძელონ. ეს „სხვაგან“ კი რომ მხოლოდ რუსეთია, როგორც იტყვიან, ბავშვმაც კი იცის ჩვენში.

**დავით მხეიძე**

◎ ინფორმაცია

## ერთობლივი კომუნიკე კენიასთანაც გაფორმდა

**საქართველომ** და კენიის რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ. კენიის მხრიდან კომუნიკეს ხელი მოაწერა გაეროსთან ამ სახელმწიფოს მუდმივმა წარმომადგენელმა ზაქარი მუიტამ, ხოლო საქართველოს მხრიდან – საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლომაიამ. ხელმოწერის ცერემონიალი ნიუ-იორკში, საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა. დიპლომატიური პრაქტიკის შესაბამისად, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ მხარეებმა ერთობლივი წერილით აცნობეს გაეროს გენერალურ მდივანს.

ერთობლივი კომუნიკეს თანახმად, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ემსახურება ორივე სახელმწიფოს ინტერესებს. ერთმანეთთან ურთიერთობებში მხარეები იხელმძღვანელებენ ეროვნული სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით.

ცნობისათვის, კენია ოცდამეთერთმეტე აფრიკული სახელმწიფოა, რომელთანაც საქართველო დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებს.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ თვალსაზრისი



***საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზაალ აბაზაძემ თანამდებობა დატოვა. ამის მიზეზი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოთქმული საყვედური გახდა. სააკაშვილმა აბაზაძე ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობის არცოდნის გამო გააკრიტიკა. ამას წინ სამთავრობო ცვლილებები უძღოდა, როცა ოპოზიციამ პრეზიდენტი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად ვერა ქობალიას, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრად კი ლადო ვარძელაშვილის დანიშვნისთვის გააკრიტიკა. ოპოზიციას მთავარ არგუმენტად შესაბამის სფეროებში მათი არასათანადო კვალიფიკაცია მოჰყავდა. პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკა კრიტიკის ობიექტი ადრეც ბევრჯერ გამხდარა. რა ნიშნით შეირჩევიან პირები ამა თუ იმ თანამდებობაზე დღევანდელ საქართველოში? – „მედიანიუსი“ ამ საკითხზე პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა:***

# „თანამდებობებზე სუსტი ფიგურების დანიშვნას თავისი ლოგიკა აქვს“

**– ბატონო რამაზ, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტურისტულ შუა სეზონზე აღმოაჩინა, რომ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა არ იცის. ოპოზიციის მკვეთრი კრიტიკა მოჰყვა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის საკმაოდ ახალგაზრდა და ნაკლებად გამოცდილ ვერა ქობალიას დანიშვნას. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საქართველოში მინისტრის თანამდებობებზე პირები მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნის გამო ინიშნებიან?**

– დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია, რომელიც სამი პრეზიდენტის პერიოდად იყოფა, სწორედ ასეთი შენიშვნების ფონზე მიმდინარეობდა. კადრების შერჩევას საყვედურობდნენ ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძეს და ახლა – მიხეილ სააკაშვილსაც. ეს შეიძლება უფრო ზოგადი პრობლემა იყოს, ვიდრე კონკრეტულად რომელიმე ხელისუფლის. ზოგადი პრობლემა ის არის, რომ ქვეყნის პირველ პირს ისეთი გუნდის შეკრება უწევს, რომელიც მისი ერთგული იქნება, ანუ ერთ-ერთი პრობლემა არის ის, თუ რამდენად ატარებენ აღმასრულებელი სტრუქტურები პირველი პირისგან შეთავაზებულ პოლიტიკას. ასეთი ამოცანის გამო არც თუ იშვიათად პირებს თანამდებობებზე ერთგულების პრინციპით უფრო ირჩევენ, ვიდრე კომპეტენციის.

ედუარდ შევარდნაძეს საყვედურობდნენ, რომ კორუფციულ კადრებს უფრო ირჩევდა, რადგან ამ კორუფციით უფრო „ეჭირა“ ადამიანები, კერძოდ, მათ ერთგულებას კორუფციისათვის დასჯის შიშით აიძულებსო. ანალოგიურად შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ, თავის დროზე, ზვიად გამსახურდია, ახლა კი მიხეილ სააკაშვილი, იძულებით ერთგულების მექანიზმად სწორედ ამა თუ იმ კადრის არაკომპეტენტურობას იყენებს. ადამიანებმა, რომლებიც მინისტრის სავარძლამდე ვერაფრით მიაღწევდნენ, კარგად იციან, რომ ამ სავარძელში ყოფნის ერთადერთი გარანტია პირველი პირისადმი მათი ერთგულებაა. შესაბამის თანამდებობაზე პროფესიონალი რომ დაინიშნოს, ის მიიჩნევს, რომ მისი მინისტრობის გარანტია მისივე პროფესიონალიზმია. ამიტომაც, ასეთი მინისტრი უფრო თამამი და ინიციატივიანი იქნება. როგორც კი ესა თუ ის მინისტრი საკუთარ თავში დარწმუნებული აღმოჩნდა, ისინი ხელისუფლებისგან მართვადნი აღარ აღმოჩნდნენ.

**– ასეთ მინისტრთაგან ვის გაიხსენებდით?**

– მაგალითად, ირაკლი ოქრუაშვილს, სალომე ზურაბიშვილს... ასე რომ, თანამდებობებზე სუსტი ფიგურების, თანამდებობასთან შეუსაბამობით დანიშვნას თავისი ლოგიკა აქვს, რაც არაერთ ქვეყანაში გამოიყენება.

**– ზვიად გამსახურდიას საკადრო პოლიტიკის ნაკლოვანებანი ოპოზიციამ მის წინააღმდეგ გამოიყენა...**

– ოპოზიციას გამსახურდიასავე დანიშნული კადრები წარმოადგენდნენ. .მის ოპოზიციაში ის ადამიანები აღმოჩნდნენ (უპირველესად, ყოფილ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას ვგულისხმობძ, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ ამ თანამდებობებზე არა ზვიად გამსახურდიამ აირჩია, არამედ იქ პირადი დამსახურების გამო მოხვდნენ. ამიტომაც, ისინი გამსახურდიასთან ურთიერთობაში უფრო გაბედულნი იყვნენ. თუ ამ საკითხს პირველი პირის თვალით შევხედავთ, თანამდებობებზე სუსტი ფიგურების დანიშვნას თავისი ლოგიკა აქვს...

**– ხომ არ გამოიყენებს დღევანდელი ოპოზიცია სააკაშვილის საკადრო პოლიტიკას მის წინააღმდეგ?**

– ოპოზიციას რამის გამოყენება რომ შეეძლოს, გამოსაყენებლად ბევრი სხვა რამეც აქვს, რომელიც საკადრო პოლიტიკაზე გაცილებით მწვავეა. როცა საუბარი საკადრო პოლიტიკას შეეხება, პრეზიდენტს ყოველთვის შეეძლება იმის თქმა, მიმაჩნდა, რომ ესა თუ ის პირი ამ თანამდებობაზე გამოდგებოდა და შევცდიო.

პრესკონფერენცია

# პუტინის ვარიანტის გათამაშების საშიშროება რეალურია

***საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის სახელით, ნინო ციხისთავმა და ლია მუხაშავრიამ ღია წერილი გაუგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, ქალბატონ ჰილარი კლინტონს. ჰილარი კლინტონი შეხვდა საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ლიდერ ქალბატონებს, მათ შორის იმყოფებოდნენ საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრი ქალბატონები.***

***„კავკასიურ სახლში“ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრებმა ნინო ციხისთავმა, ლია მუხაშავრიამ, ვახტანგ ძაბირაძემ, გიორგი ხუციშვილმა ყურადღება გაამახვილეს ზემოხსენებული წერილის მნიშვნელობაზე საქართველოსთვის.***

საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის შექმნა მიზნად ისახავდა იმგვარი საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადებას, რომლებიც უპასუხებდა ქვეყანაში არსებულ კრიზისებს და ხელისუფლების განშტოებათა დაბალანსების გზით უზრუნველყოფდა კრიზისიდან გამოსვლის მოქნილ და მშვიდობიან, კონსტიტუციურ გზებს, თავიდან აგვაცილებდა სამომავლო კრიზისებს.

2004 წლის 6 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციაში, განხილვისა და საზოგადოების თანხმობის გარეშე შეტანილმა ცვლილებებმა ხელისუფლების განშტოებათა დისბალანსი და მუდმივი კრიზისები გამოიწვია.

„ნაცვლად იმისა, რომ პრეზიდენტის მიერ მიტაცებული ძალაუფლება გადანაწილდეს ხელისუფლების სხვა განშტოებებზე და შეიქმნას კონტროლისა და გაწონასწორების ქმედითი მექანიზმები, ახლა უკვე პრეზიდენტის ნაცვლად ძლიერდება პრემიერ-მინისტრი, და პარლამენტი ამჯერად დამოკიდებული ხდება პრემიერ-მინისტრზე და, ნაწილობრივ, პრეზიდენტზე.

ჩვენთვის ცხადია, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ემსახურება პოლიტიკურ დაკვეთას, პრეზიდენტი ჩანაცვლდეს პრემიერ-მინისტრით ხელისუფლების დაუბალანსებლად“, — აღნიშნულია ღია წერილში.

ამ საკითხზე პრესკონფერენციაზე ყურადღება გაამახვილა **გიორგი ხუციშვილმა.**

— შესაძლოა ქვეყანაში მოხდეს კატასტროფული მოვლენების პრევენცია. მე ვემხრობოდი პრეზიდენტ სააკაშვილის არჩევას და იმ რეფორმებს, რომლებიც იწყებოდა. მაგრამ პირველივე დარტყმა რეფორმების საწინააღმდეგოდ 2004 წლის თებერვალში მოხდა, როდესაც მიიღეს საკონსტიტუციო ცვლილებები.

ძველ პარლამენტში აღმოჩნდა ჯგუფი, რომელმაც დაასაბუთა და დაწერა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, ეს იყო ჩვენი სახელმწიფო სისტემის დაღუპვა და გადამეტებული უფლებების მინიჭება პრეზიდენტისთვის პარლამენტის უფლებების ხარჯზე.

მაშინ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მხოლოდ მე გამოვედი ღიად ამ ცვლილებების წინააღმდეგ.

**როდესაც არსებობს საშიშროება პუტინის ვარიანტის გათამაშებისა საქართველოში 2013 წელს, ზუსტად უნდა მოხდეს პრევენცია თქვენი და ჩვენი საშუალებით, თორემ მერე გვიან იქნება.**

**დემეტრაშვილი — შარმანაშვილის მოდელი შეიძლება გამოიყენონ და ისეთ კონდინციამდე მიიყვანონ, რომ დაეხმაროს ხელისუფლებას ერთმანეთში ძალაუფლების გადანაწილებაში: ახლა იყოს პრეზიდენტი ძლიერი და, შესაბამისად — ეს იქნება სააკაშვილი, სამომავლოდ — პრემიერ-მინისტრი გახდება ძლიერი, პარლამენტი — ისევ სუსტი, და ისევ სააკაშვილი მოგვევლინება პრემიერ-მინისტრად. ანუ პრაქტიკულად მართვის სისტემაში არაფერი შეიცვლება. ეს რეალურია,** — დაასკვნა გიორგი ხუციშვილმა.

საზოგადოებრივმა საკონსტიტუციო კომისიამ ჰილარი კლინტონს დახმარება სთხოვა, რათა საქართველომ წარმატებით განახორციელოს ნამდვილი საკონსტიტუციო რეფორმა.

რეფორმის განსახორციელებლად საჭიროა: თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნა; პარლამენტის დამოუკიდებლობა პრეზიდენტისა და მთავრობის ნებისგან; თავისუფალი, სამართლიანი, მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების შექმნა; მასმედიის, განსაკუთრებით ელექტრონულის, პირველ ყოვლისა კი საზოგადოებრივი მაუწყებლის, გათავისუფლება ხელისუფლების დიქტატისგან; მოსახლეობისთვის მინიმალური სოციალური თუ შრომითი გარანტიების შექმნა; თავისუფალი და დამოუკიდებელი საზოგადოების ჩამოყალიბება და განვითარება; კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და დაცვა; სახალხო დამცველის (ქომაგისძ ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და გაძლიერება. ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის რეალური და ობიექტური კონტროლი; პოლიტიკური ოპოზიციისთვის ისეთი მექანიზმების შექმნა, რომ მათ რეალურად შეძლონ მმართველი ძალის მოქმედების კანონიერების გაკონტროლება; ქალთა თანასწორი მონაწილეობა ყველა დონის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

**თამარ შაიშმელაშვილი**



სამწუხარო რეალობა




ერთად შევქმენით ფუნდამენტური შრომა „საქართველოს პოტენციალი“, მოაზროვნე ადამიანებთან ერთად შევადგინეთ ამ პოტენციალის მოქმედებაში მოყვანის პროგრამა (ყველა ეს მასალა განთავსებულია „თეთრების“ ვებ.გვერდზე www.tetrebi.orgd.

**ჩვენთვის მთავარია არა გულმოსულთა, განაწყენებულთა და გაბოროტებულთა პარტიის წევრებად ქცევა, არა იმ ძალებზე და პოლიტიკოსებზე დაყრდნობა, რომელთაც პოლიტიკა ბიზნესად და დასაქმების ადგილად აქციეს და ამ გზით — ძალისმიერი რადიკალიზაცია, არამედ, მხოლოდ მოაზროვნე ადამიანთა ერთობა და ინტელექტუალური რადიკალიზაცია მეტი გულშემატკივრისა და მხარდამჭერის მოპოვების მიზნით.**

**ამ განწყობით ვემზადებით „თეთრები“ პარტიის ყრილობისათვის, რომელიც შემოდგომაზე გაიმართება.**

# საქართველოში კლასიკური გაგებით არც პოლიტიკური პროცესი მიდის და არც პოლიტიკური ძალა არსებობს

**ასეთია „თეთრების“ დამფუძნებელთა საბჭოს მთავარი დასკვნა და იმავდროულად პასუხიც იმ პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ძალებისადმი, რომლებიც პოლიტიკურ პროცესს, პოლიტიკურ ძალას, ჩატარებული მიტინგების და მიტინგების მონაწილეთა რაოდენობით, ყრილობაზე, თუ სხვა სახის შეკრებაზე დამსწრეთა რიცხვით ზომავს.**

ამ თავდაყირა დაყენებულმა პოლიტიკამ შექმნა „ მოქკავშირიც“ და „ალორძინებაც“, მოიყვანა „ნაცმოძრაობა“ და სააკაშვილი. ამის განმეორება თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება.

სამწუხაროდ, „მოქკავშირ-ალორძინების“ იდეოლოგია წარმატებულად გრძელდება, როგორც ხელისუფლებაში, ასევე ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალთა უმეტესობაში. ამ იდეოლოგიის მთავარი ნიშანია ის, რომ პოლიტიკა სრულად უჭირავს ემოციას, ლანძღვას, გინებას, ჩაშვებას და პოლიტიკიდან სრულად განიდევნა გონება — ანალიზი, დათათბირების კულტურა, მეცნიერის, და საერთოდ განათლებულისადმი კეთილი განწყობა. **ამ წყობის პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ძალებისათვის მთავარია მიტინგი, ბრიფინგი, ხალხის რაოდენობა, ემოციური შეძახილები - „ჩამოგაგდებ“, „დაგამტვრევ“, მთავარია „ვინ“ და არა „რა“ და „როგორ“ .**

**ჩვენ ყველაფერი ეს მიგვაჩნია არასერიოზულად და ქვეყნისთვის საზიანოდ.** ზოგიერთი წევრის ყოლას სჯობს, საერთოდ არავინ გყავდეს, თუ ეს ქვეყანა გიყვარს და მომავალზე ფიქრობ. უამრავი მაგალითი გვაქვს, როცა ამა თუ იმ ოპოზიციური პოლიტიკური ძალის წევრი „წარმატებულად“ ახერხებს „ნაცობასაც“... უამრავი მაგალითი გვაქვს, როცა რეგიონალური ლიდერები ორსახეობენ: ფინანსდებიან პარტიიდანაც და ადგილობრივი ხელისუფლებიდანაც. ეს მწარე სინამდვილეა ტრაგიკული საქართველოსათვის.

**ჩვენ, „თეთრები“ მოვდივართ დემოკრატიული მსოფლიოს კლასიკური გამოცდილებით.** მეცნიერთა მონაწილეობით გავაკეთეთ მდგომარეობის ფუნდამენტური ანალიზი. სწორედ მეცნიერებთან

**„თეთრების“ დამფუძნებელთა სხდომამ გადაწყვიტა** სარჩელის შეტანა „ხალხის სასამართლოში“ საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მის მიერ „ღირსების ულტიმატუმის“ იგნორირებისათვის. იგი მას 2009 წლის 23 ნოემბერს გაეგზავნა.

**პრეზიდენტს არ აქვს არც ერთი მოქალაქის იგნორირების უფლება, მით უფრო იმ ელემენტარული საკითხების შეუსრულებლობის უფლება, რომელთა გამოც შელახულია საქართველოს მოქალაქეების ღირსება და, რომელთა შეუსრულებლობის პირობებში ღირსების მქონე ნებისმიერი მოქალაქისათვის სირცხვილი იქნებოდა ხელისუფლებაში ყოფნა, მით უფრო, პრეზიდენტის სავარძელში ჯდომა.**

გადაიცეს „ხალხის სასამართლოს“ ეს სხდომა ხალხის ფულით დაფინანსებული „საზოგადოებრივი ტელევიზიის“ მიერ და ხალხიც დარწმუნდება, რა ხელისუფლებაც ჰყავს მას. დარწმუნდება იმაში, რომ **ხელისუფლებამ, რომელიც აირჩია იმისათვის, რომ ხალხს ემსახუროს, ხალხი აქცია თავის მსახურად. სწორედ ეს არის ქვეყნის მთავარი უბედურება და ნიშანი ნებისმიერი თავმოყვარე, ქვეყანაზე ელემენტარულად დაფიქრებული პოლიტიკოსისათვის, რომ სწორედ ეს არის შესაცვლელი, რომ ყველა პოლიტიკოსისათვის დიდი სირცხვილია, რომ დღეს საქართველოში ხალხი თავისი მსახურის მსახური გახდა.**

**„თეთრებმა“ პროგრამის „ხსნა დემოკრატიაშია“ სქემატური ვარიანტიც დაამტკიცეს და განსახილველად შესთავაზეს პოლიტიკურ პარტიებსა და პოლიტიკურ ძალებს ამავე სათაურით ადრე გაგზავნილ პროგრამასთან ერთად.**

**სწორედ დემოკრატიის ეშინია სააკაშვილს და მის ხელისუფლებას, რადგან იგი ერთდროულად დაასრულებს სააკაშვილის მიერ აშენებულ პოტიომკინის სოფელსაც, სააკაშვილის რეჟიმსაც.**

**ეს იქნება დიდი ქართული გამარჯვება.**

**თეიმურაზ შაშიაშვილი,**
ახალი პოლიტიკური ძალა „თეთრი მოძრაობა“,
„თეთრების“ დამფუძნებელთა საბჭოს სახელით.

ინფორმაცია

# გაზსადენის 51 პროცენტი სახელმწიფოსია

**მაგისტრალური გაზსადენის მინიმუმ 51 პროცენტი სახელმწიფო საკუთრებაში დარჩება. როგორც საფინანსო და რეგიონალური განვითარების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ითქვა, არასაპრივატიზაციო ნუსხიდან ამოვარდება მაგისტრალური გაზსადენი და სახელმწიფოს საშუალება ექნება ობიექტის აქციათა გარკვეული რაოდენობა ლონდონის ბირჟაზე განათავსოს.**

**— ვიტოვებთ შესაძლებლობას, რომ გაზსადენი დარჩეს გარკვეულწილად სახელმწიფო საკუთრებაში, თუმცა მის გასხვისებაშიც ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ. მისი პრივატიზება შესაძლებელია, თუმცა საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს, ხოლო აქციათა გარკვეული ნაწილი ლონდონის ბირჟაზე განთავსდეს, — განაცხადა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლაშა თორდიამ.**

**მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზაციის ფაქტს არ ეწინააღმდეგება საპარლამენტო ოპოზიციაც.**

**შეგახსენებთ, რომ მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზების შესაძლებლობა მას შემდეგ გაჩნდება, რაც პარლამენტი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს დაამტკიცებს. თუმცა როგორც საბიუჯეტო და რეგიონალური განვითარების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განაცხადა, მთავრობა აღნიშნული კანონპროექტის ექსპერტიზას აკეთებს.**



ჯი-ეიჩ-ენი

წლები

# დიდი მოძღვრის ღირსეული შეგირდი

***გამოჩენილ ფიზიოლოგს, აკადემიკოს თეიმურაზ (თემო) იოსელიანს 80 წელი შეუსრულდა. შორეულ სტუდენტურ წლებში ერთმანეთი ჭადრაკის ტრფიალმა გაგვაცნო და მერე ეს ნაცნობობა ჩემთვის საამაყო მეგობრობად გვექცა, რაიც ნახევარ საუკუნეზე მეტხანს გაუბზარავად გამოვატარეთ და აგერ, სოლიდურმა ასაკმაც გვიწია...***

***თეიმურაზ იოსელიანი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თავის ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (და პირველი პრეზიდენტი), მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი, აშშ-ში „ორიათასწლეულის ოქროს საპატიო მედლის“, ივანე ჯავახიშვილის მედლის, გოეთეს მედლის, ერნსტ ჰეკელის მედლის, გრიგოლ მუხაძის მედლის, ზაზა ფანასკერტელის სამახსოვრო მედლის კავალერი, აშშ-ში „1998 წლის გამოჩენილი ადამიანის“ სიგელის მფლობელი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.***

***ეს ვრცელი და შთამბეჭდავი ჩამონათვალი კიდევ ერთი საპატიო ტიტულით „შევკრათ“: თ. იოსელიანი გახლავთ ნერვული სისტემის მიკროელექტროდული კვლევის პიონერი საქართველოში. შენს ქვეყანაში იყო კვლევის თუნდაც ერთ კერძო სფეროში პირველგამკვლევი, გზის გამკაფავი, პიონერი — ეს ხომ მართლაც საპატიოა. სპეციალისტების აზრით, თ. იოსელიანს, რომელიც სამეცნიერო ასპარეზზე სტუდენტობის პერიოდშივე გამოჩნდა, და პირველი სტატია მე-2 კურსის სტუდენტმა გამოაქვეყნა აკადემიის ჟურნალ „მოამბეში“, თავიდანვე გამოარჩევდა ახლისკენ სწრაფვა, შესასწავლ ფენომენთა არსის ღრმად გააზრებისა და მექანიზმების მოძიების, ორგანული ექსპერიმენტული ხერხების მიგნების სურვილი, სრულყოფის უნარი, დამსახურებულად ხვდა ამგვარი პიონერობა...***

***აი, ასე ფართოდ „განსჯილი“ თეიმურაზ იოსელიანი გახლავთ დღევანდელი ჩვენი რესპონდენტი.***

**— ჰიძურ რომ დაგისვა შეკითხვა — რა მომენტებს გამოჰყოფდი, როგორც ყველაზე ფასეულს, შენი მდიდრული მეცნიერულ-პედაგოგიური ბიოგრაფიიდან, როგორი იქნებოდა პასუხი?**

— ჩემი პედაგოგიური ცხოვრებიდან ყველაზე ღირსეულად ის მიმაჩნია, რომ ბუმბერაზმა სწავლულმა ივანე ბერიტაშვილმა ჯერ კიდევ აქტიური საქმიანობისას გადმომაბარა თავისი ლექციების ძირითადი კურსი (ნეიროფიზიოლოგიაძ, რომელსაც 40 წლის მანძილზე კითხულობდა. აქვე გეტყვით, რომ ჩემი ძვირფასი მასწავლებლის ამ სარეკორდო დროის დაფარვა შევძელი — 46 წელი მიმყავდა ეს კურსი უნივერსიტეტში.

ამავე დროს ბატონმა ივანემ დამავალა ფიზიოლოგიის კათედრაზე თბილსისხლიანი ცხოველების ნერვული სისტემის ელექტროფიზიოლოგიური კვლევის აღდგენა.

ჩემს მეცნიერულ ბიოგრაფიაში ასევე მნიშვნელოვან მოვლენად ვთვლი 1983 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად პირდაპირ არჩევას, წევრ-კორესპონდენტობის „გამოტოვებით“.

**— ივანე ბერიტაშვილი გიგანტური ფიგურაა საერთოდ ქართული მეცნიერების ისტორიაში; რა შტრიხებით გაიხსენებდი მას როგორც მასწავლებელს, მკვლევარს, ქართული ფიზიოლოგიური სკოლის შემქმნელს, როგორც ადამიანს?**

— ბატონი ივანე განცვიფრებასა და აღტაცებას იწვევდა არა მარტო როგორც დიდად ნიჭიერი მკვლევარი, არა მარტო როგორც შესანიშნავი პედაგოგი და ორგანიზატორი, არამედ უსაზღვრო ენერგიითა და შრომისმოყვარეობითაც. მაგონდება ერთი ეპიზოდი.

ის და მე გამოსაცემად ვამზადებდით „ზოგადი ფიზიოლოგიის“ ახალ სახელმძღვანელოს. იმ ხანად ხშირად მიწევდა ბატონ ივანესთან ბინაში ყოფნა. ერთ საღამოს, როცა მივედი და კაბინეტის კარი შევუღე, გაოცებისგან იქვე შევჩერდი: მთელი ოთახი — საწერი მაგიდა, სკამები, საწოლი და იატაკიც კი მოფენილი იყო გადაშლილი წიგნებით, ხელნაწერებითა და სურათებით. მუხლებზე დაჩოქილი მასპინძელი ფანქრითა და უზის წიგნაკით ხელში ათვალიერებდა წიგნებს, აკვირდებოდა სურათებს და რაღაც შენიშვნებს იწერდა. იგი ისე იყო მუშაობაში ჩაფლული, რომ ჩემი მისვლა ვერც შეამჩნია.

დიდხანს ვიდექი კართან და აღფრთოვანებული შევცქეროდი ამ დიდებულ სანახაობას. ჩემი მასწავლებელი მაშინ 84 წლისა გახლდათ!...

ივანე ბერიტაშვილს მეცნიერული მუშაობა მძიმე ავადმყოფობის დროსაც არ შეუწყვეტია. საწოლს მიჯაჭვული, იგი მოწაფეებთან ერთად არჩევდა ახალ ფაქტობრივ მასალას, გეგმავდა მომავალი საქმიანობის ტაქტიკასა და სტრატეგიას. გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე დიდმა მეცნიერმა კათედრისა და ინსტიტუტის თანამშრომლებს გამოგვიგზავნა ცხოველთა „გონივრული ქცევის“ შესწავლის ფართო და ღრმად გააზრებული პროგრამა. სამწუხაროდ, თავად მას არ დასცალდა მონაწილეობის მიღება პროგრამის პრაქტიკულ დამუშავებაში. სამაგიეროდ ბატონი ივანეს ზოგიერთი მოწაფე დღესაც განაგრძობს ამ პროგრამით ხელმძღვანელობას.

**— რამდენადაც მე შენს მეცნიერულ გზას ვიცნობ — და მგონია, რომ გვარიანადაც — ეს გზა ჩინებული მაგალითია ერთ მკვლევარში თეორეტიკოსისა და ექსპერიმენტატორის შერწყმისა...**

— ჩემი პირველი მეცნიერული შრომა „პერკადიუმის მეზოთელში მრავალბირთვიანი უჯრედების განვითარების ციკლი“, რომელიც მეორეკურსელმა სტუდენტმა უთანაავტოროდ გამოვაქვეყნე, ექსპერიმენტულ მონაცემებს ეყრდნობოდა.

შემდგომაც ყოველთვის მიზიდავდა ექსპერიმენტული კვლევის „ხერხების დახვეწა“. მიკროელექტრონული ტექნიკის ასათვისებლად 1995 წელს კიევში გავემგზავრე პროფესორ პლატონ კოსტიუკთან. კვეხნად თუ არ ჩამომერთმევა, გავხდი კიდევაც საქართველოში „ნერვული სისტემის მიკროელექტროდული კვლევის პიონერი“, როგორც ერთ-ერთ რეცენზიაში აღნიშნეს აკადემიკოსებმა ვაჟა ოკუჯავამ და თენგიზ ონიანმა. სხვათა შორის, ჩვენ სამს — ვაჟას, თენგიზს და მე, დიდი ივანეს სამ მოწაფეს, სამ აკადემიკოსს, ფიზიოლოგიის ინსტიტუტში „სამ მუშკეტერს“ გვეძახდნენ...

მერე ისიც იყო, რომ ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე ამერიკელ პროფესორ დევიდ ადამსთან ერთად შევქმენი ჩვენს ქვეყანაში პირველი სტუდენტური სამეცნიერო ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელად თვით სტუდენტებმა აირჩიეს ნიჭიერი მეორეკურსელი ზურაბ ჟვანია (მომავალი თავმჯდომარე საქართველოს პარლამენტისაძ.



გარკვეული ხანი რომ გავიდა, მშობლიური ქუთაისის პირველ საშუალო სკოლაში დაარსდა ჩემი სახელობის პედაგოგიური და სამეცნიერო ლაბორატორია...

**— მახსოვს, შენს „ლექტორულ-გამომცდელურ“ სიმკაცრეზე ლეგენდები დადიოდა. მე მგონი, სტუდენტთაგან გამოცდების ჩაბარების პრაქტიკაში თავის დროზე სიახლეებიც დანერგე და მთელი უნივერსიტეტი აალაპარაკე...**

— ჩვენს ბიოლოგიის ფაკულტეტზე ზოგადი ფიზიოლოგია ითვლებოდა ყველაზე რთულ საგნად. ბატონმა ივანემ რომ 1960 წელს ეს კურსი გადამოილოცა, მართალი გითხრათ, ძალიან ვცდილობდი, რომ არ დაცემულიყო მისი პრესტიჟი, არ დამეშვა არავითარი პროტექციონიზმი. გარკვეულწილად ამას ვახერხებდი კიდევაც. მთელი ამ ხნის განმავლობაში არ მახსენდება არც ერთი წელი, რომ ზოგადი ფიზიოლოგიის ჩაბარება არ გამხდარიყო ასე თუ ისე პრობლემური, შედარებით პრობლემური. დასანანად, მხოლოდ შედარებით! აშკარად ჩანდა სტუდენტთა აქტივობის თანდათან შესუსტება. ძალიან ძნელი შეიქმნა ამ პროცესის შეჩერება. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ მიზეზი იყო ზეპირი გამოცდების ხარვეზები. ექსპერიმენტებში ხელგაწაფულმა, აქაც გადავწყვიტე ექსპერიმენტზე წასვლა. რადიკალურად შევცვალე სასესიო გამოცდის წესი — ზეპირის ნაცვლად წერითი შემოვიღე. ჩემი ერთი კოლეგა ფიქრობს, რადგან აშშ-ის უნივერსიტეტებში ტარდება „ტესტური გამოცდები“, ჩვენთანაც ასეთი უნდა შემოვიღოთო. მე შორსა ვარ ამ აზრისგან, რადგან ყველაფრის ბრმად გადმოტანა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. ჩემი აზრით, „ტესტური გამოცდები“ ვერ ავლენს სტუდენტის აბსოლუტურ ცოდნას.

რა უპირატესობა აქვს წერით გამოცდას? მის პირობებში ყველა საგამოცდო ბილეთში საპასუხო საკითხები შესულია საგნის თითოეული განყოფილებიდან, რის გამოც ცოდნა მოწმდება მთელს საგანში. ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხები „კი“ ან „არა“ გამორიცხულია; ისიც მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს შეუძლიათ შეამოწმონ არა მარტო თავიანთი, არამედ სხვისი პასუხების სისწორეც, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის პროტექციონიზმს.

მოვიყვან ასეთ მაგალითს. ერთმა ჩემმა სტუდენტმა ნინო ამაღლობელმა გამოცდაზე მიიღო შეფასება „არადამაკმაყოფილებელი“, ხოლო მეორემ, თეა კეკელიძემ — „საშიანი“. ეს ნიშნები გავაფორმე სრულიად უყოყმანოდ. სხვათა შორის, ნინოს მამა იმ დროს გახლდათ ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო თეას მამა — პრორექტორი. ნინომ, დარწმუნდა რა, რომ დადებითი ნიშნის მიღებას მშობლის თანამდებობა ვერ უზრუნველყოფდა, უკეთესი მომზადება გადაწყვიტა და განმეორებით გამოცდაზე საგანში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა — „ხუთიანი“.

დღეს ნინო ჩემი კოლეგაა და შეხვედრისას მადლობასაც კი მიხდის პირველ გამოცდაზე „ორიანისთვის“...

„მკაცრი ლექტორის“ სახელი კი მქონდა, მაგრამ გამოცდების შემდეგ სტუდენტებთან, როგორც წესი, მეგობრულ ურთიერთობებს ვინარჩუნებდი. მახსენდება, განსვენებული ზურაბ ჟვანიას ჯგუფი რომ ყოველწლიურად ძველით ახალ წელს, ანუ 13 იანვარს ჩემს ბინაში იკრიბებოდა. ჩემი მეუღლე და მე მათ „ცამეტიანელებს“ ვეძახდით...

ერთი სიტყვით, ჩვენი სტუდენტები არ არიან სიმკაცრის წინააღმდეგი, თუკი ამ სიმკაცრეს ობიექტურობაც ახლავს...

**— სანამ უნივერსიტეტში საბოლოოდ აირჩევდით ბიოლოგიის ფაკულტეტს, მანამდე აღმოსავლეთმცოდნეობისა და ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტებს „მოუსინჯეთ კბილი“. მე რომ შენი ნიჭიერების ამბავი კარგად ვიცი, კერძოდ, შენი მათემატიკური ფხისაც, ვფიქრობ, რომ რა პროფესიაც არ უნდა აგერჩია, ყველგან ისეთივე დიდი მეცნიერული აღიარება გხვდებოდა, როგორიც ფიზიოლოგიაში; მაინც, რამ გამოიწვია ჯერ აღმოსავლეთმცოდნეობისაგან, მერე ფიზიკა-ტექნიკისაგან შენი განდგომა?**

— აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი იმიტომ კი არ დავტოვე, რომ არ მომეწონა; პირიქით, შემიძლია დატრაბახება, რომ პირველი სემესტრის გამოცდების შედეგად საუკეთესო სტუდენტად მაღიარეს. დასანანად, პირველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ეს განხრა დაიხურა და შეიცვალა ამავე ქვეყნების ისტორიის შემსწავლელი განყოფილებით, რაც მე არ მიზიდავდა. საბუთები გამოვიტანე და ხანგრძლივი ფიქრის მერე გადავწყვიტე, მოსკოვს გამგზავრება და იქ ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე ჩაბარება. აქვე სათქმელად, ეს იყო ერთადერთი ფაკულტეტი, სადაც ოქროს მედალოსნებიც გადიოდნენ მისაღებ გამოცდებზე მათემატიკაში (ცალკე წერა და ცალკე ზეპირიძ და ფიზიკაში (ზეპირიძ. ამასობაში ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტი თბილისის უნივერსიტეტშიც გაიხსნა აკადემიკოსების ნიკო კეცხოველისა და ილია ვეკუას თაოსნობით. მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ იქ ჩავირიცხე. ჩემდა სამწუხაროდ, მალე მძიმედ დავაავადდი, ორი წელი გამიცდა და გარკვეული მიზეზების გამო ბიოლოგიის ფაკულტეტზე აღმოვჩნდი.

**— რას ნიშნავს გამოჩენილი მეცნიერისთვის ისეთი თანამეცხედრის ათეული წლობით გვერდით ყოლა, როგორიც ქალბატონი ქეთევან ჩოხელია?**

— ძალიან, ძალიან ბევრს... ქეთინო იყო ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი; რატომღაც უკანა მერხზე უყვარდა ჯდომა. ერთხელაც ვუთხარი, წინ გადმობრძანდით-მეთქი. მიპასუხა — წინ ამხანაგებს მოვაცდენ ლაპარაკით, უკან ჯდომისას კი მეც გისმენთო.

პირველსავე სემინარზე მასალა დაწვრილებით გამოვკითხე და ისე მარჯვედ მიპასუხა, რომ ნება დავრთე, სადაც უნდოდა იქ დამჯდარიყო, თუკი საგანი ასე

ეცოდინებოდა... მაშინ, რა თქმა უნდა, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ის გოგონა წლების მერე ჩემი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი გახდებოდა...

— მოხდა ისე, რომ პოსტსაბჭოურ დროში საქართველოდანაც უამრავი პირი წავიდა საზღვარგარეთ. ზოგიერთი მათგანი თუ თავის ქვეყანასა და ხალხს არცხვენს, ბევრი, საბედნიეროდ და საამაყოდ, ასახელებს. ეს არაერთი საბუნებისმეტყველო დარგის ახალგაზრდა მკვლევარებზეც ითქმის. დავასახელებ თუნდაც გია დვალს, რომლის სახელიც პირდაპირ ქუხს უცხოეთის ფიზიკოსთა წრეებში... შენი მრავალრიცხოვანი აღზრდილიდან, მოწაფიდან, თანამშრომლიდან ვინ გეგულება „გაუცხოებული“ და საზღვარგარეთის ქვეყნებში მოვაწე?

— ჩემს აღზრდილთაგან ბერლინში, ჰუმბოლტის უნივერსიტეტში იღვწის თენგიზ გლოველი. მან თბილისში, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იმ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ფიზიოლოგიის კათედრის თანამშრომლობას გერმანელ ფიზიოლოგებთან. თენგიზი გაიგზავნა ქალაქ კიოლნში პროფესორ ჰაინემანთან. შემდეგ ჰაინემანი ბერლინში გადავიდა და გლოველიც თან წაიყვანა. იქ თენგიზმა მალე დაიცვა მეორე სამეცნიერო ხარისხი (ჰაბილიტირებული დოქტორისა, რომელიც ჩვენს სადოქტორო დისერტაციას უტოლდება). იგი აგრძელებს მუშაობას ბერლინში, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში, პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე.

ბერლინში დაიცვა სადოქტორო ხარისხი (ჩვენი საკანდიდატოს ტოლფასი) თამარ დუგლაძემ, რომელიც ამჟამადაც გერმანიაში მუშაობს.

ჩემი აქტიური მხარდაჭერით გაიგზავნა მიუნხენში, იქაურ უნივერსიტეტში ჩვენი კურსდამთავრებული ლიკა ღლონტი, სადაც დაიცვა კიდეც სადოქტორო დისერტაცია პროფესორ ბიუტნერის ხელმძღვანელობით. ახლა კი ლიკა თბილისში მოღვაწეობს.

თამრიკო ჭელიძემ, ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა და შემდეგ თანამშრომელმა, საქმიანობა განაგრძო მიუნხენის უნივერსიტეტში, პროფესორ ბიუტნერის ლაბორატორიაში. საკანდიდატო დისერტაცია კი ჩვენს ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაიცვა პროფესორ ბიუტნერისა და ჩემი ხელმძღვანელობით. შემდეგ თამრიკო შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში მიიწვიეს, სადაც ნაყოფიერად იღვაწა წლების მანძილზე; ამჟამად სამშობლოში დაბრუნებული.

საქართველოს დაბრუნდა აგრეთვე ჩემი მოწაფე მამედ ალანია, რომელმაც სადისერტაციო თემა მოსკოვში დაამუშავა და დაიცვა.

ნანა დორეულზეც გეტყვით, რომელიც ჩემი უშუალო რეკომენდაციით იყო მივლინებული მოსკოვში პროფესორ სკრიბიცკისთან, სადაც მოამზადა საკანდიდატო შრომა, დაცვით კი ჩვენს ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაიცვა. შემდეგ გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გააგრძელა მუშაობა. სადოქტორო დისერტაცია თბილისში დაიცვა და ახლა ფიზიოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორია ჩვენთან.

ზემოთ ნახსენები ჩემი აღზრდილისა და აწ უკვე კოლეგის თენგიზ გლოველის მეცადინეობით ბათუმში ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე ჩამოდის მსოფლიო სახელის შვიდი მეცნიერი. ამ ფორუმის ორგანიზატორი თენგიზთან ერთად გახლავთ ბათუმის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი ჩემს თენგიზსა და ბატონ ალიოშას თავის კოლექტივთან ერთად, აგრეთვე ჩემს ყოფილ ასპირანტსა და თანამშრომელს ეთიკო სარალიძეს, ამჟამად ბათუმის უნივერსიტეტში მომუშავეს.

კონფერენცია აგვისტოს დასაწყისში გაიმართება და ჩვენ, ალბათ, მოგვეცემა შესაძლებლობა, რომ მის შესახებ უფრო დაწვრილებით ვუამბოთ თქვენს მკითხველს, — დასძინა ჩემმა რესპონდენტმა.

...იუბილარის სპორტული სიჩაუქეც გავიხსენეთ სტუდენტობისას, საუნივერსიტეტო სპარტაკიადებზე — ჭადრაკი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი. მე ამ სიჩაუქის უშუალო მოწმე გახლდით.

ჩემს შორეულ და „სანეტავო“ ახალგაზრდობაში რამდენჯერმე ვყოფილვარ ქუთაისში, თემოს დიდებულ ოჯახში, მისაუბრია მის აწ გარდაცვლილ მშობლებთან, ორ უფროს ძმასთან. სწორედ ძმებისგან მსმენია, რომ თემო სიჭაბუკეშიც ჩინებული მძლეოსანი ყოფილა, მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადების წარმატებული მონაწილე სპრინტში, ხტომებში, ბირთვის კვრაში; ჰოდა, ასეთი ფიქრი გამიჩნდა: მაშინ რომ სცოდნოდა, დიდი ივანე ბერიტაშვილის „მუშკეტერს“ შეარქმევდნენ (ვაჟა ოკუჯავასა და თენგიზ ონიანის მხარდამხარ), ეგებ ქუთაისის ცნობილ ფარიკაობის სექციაში ევლო და დაშნას დაუფლებოდა — ხომ უფრო მეტად შეიფერებდა და მოირგებდა ამ საპატიო ტიტულს...

**თამაზ ეზანოიძე.**

**სურათზე: აკადემიკოსი თეიმურაზ იოსელიანი ახალგაზრდა მეცნიერებთან; შეტევაზეა ახალგაზრდა კალათბურთელი თემო იოსელიანი.**



**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

# „თეთრი ქალაქის“ შავი აჩრდილები,

## ანუ რატომ მიდის კრახისკენ აწყობილი საქმე, ვის აძლევს ეს ხელს და რა უნდა გავაკეთოთ ამის თავიდან ასაცილებლად?

***ამ ბოლო ერთი თვის მანძილზე ჩვენს გაზეთში კულტურულ-ეკონომიკური ცენტრის — შპს „თეთრი ქალაქის“ ყოფილი გენერალური დირექტორის და მისი ერთ-ერთი პირველი დამფუძნებელი პარტნიორის, მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ანზორ გაბიანის სამი ვრცელი, მეტად საგულისხმო მასალა დაიბეჭდა, რომელიც ამ სავაჭრო ცენტრში შექმნილ დაძაბულ, არაჯანსაღ ვითარებას, ასევე ადმინისტრაციასა და ბატონ ანზორ გაბიანს შორის შექმნილ უკიდურესად დაძაბულ ურთიერთობას შეეხებოდა.***

თავისთავად, ის რჩევები, შეგონებები თუ პირდაპირი ბრალდებები, რომლებსაც ბატონი ანზორი „თეთრი ქალაქის“ ამჟამინდელ დირექტორსა და ადმინისტრაციას აძლევდა და უყენებდა, ძალიან სერიოზულია, კერძოდ, თუნდაც იმ ნაწილში, სადაც იგი სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე ლაპარაკობს. თუმცა ამ შემთხვევაში მათ შესახებ მსჯელობა საგაზეთო პუბლიკაციის ჩარჩოებს სცილდება და ისინი სხვა განსჯის საგანია.

თავის მხრივ, რედაქცია თავადაც დაინტერესდა კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრ „თეთრ ქალაქში“ ამჟამად შექმნილი ვითარებით და ამიტომაც მე, ამ გაზეთის ჟურნალისტი, მის გასაცნობად ვეწვიე კიდეც ამ ახალ, კოხტად მოწყობილ მაღლივ შენობას წერეთლის პროსპექტის დასაწყისში.

დათვალიერება ცხადია, პირველი სართულით დავიწყე, სადაც ათასი წვრილმანი იყიდება. ბუნებრივია, მოიჯარეებს გავესაუბრე.

**სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ უკლებლივ ყველა მათგანი, უწინარესად, გაუსაძლისად მაღალი საიჯარო გადასახადითაა შეწუხებული,** რომელიც თვეში ორი-სამი კვადრატული მეტრისთვის (კომუნალურ და დაცვის გადასახადებთან ერთად) 450-500 ლარის ფარგლებში მერყეობს. ამის გარდა, ურეკლამობის და ძნელად მისადგომობის გამო, დღის განმავლობაში მოიჯარეებს ვაჭრობა ფაქტობრივად, არა თუ მოგებას, არამედ ყოველთვიური იჯარის გადასახადისთვის საჭირო თანხების თავმოყრის შესაძლებლობას არც კი აძლევს. **ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთ-ერთმა მათგანმა წინა დღის ნავაჭრის ჩანაწერი მაჩვენა, სადაც ერთი გაყიდული ონკანის, ერთი ჩამრთველისა და რამდენიმე ათეული ლურსმნის გაყიდვით მიღებულმა თანხამ (არა შემოსავალმა!) ათ ლარს არ გადააჭარბა!**

სხვა ამგვარი მაგალითებით თქვენი ყურადღება რომ არ გადავტვირთო, პატივცემულო მკითხველო, ვიტყვი, რომ **როგორც მოიჯარეები ერთხმად აცხადებენ, ისინი, უკეთესობის მოლოდინით არიან, რისთვისაც ქმედითი ნაბიჯი, უწინარესად, „თეთრი ქალაქის“ ადმინისტრაციამ უნდა გადადგას, რაც საიჯარო ფასების მნიშვნელოვან დაკლებაში უნდა გამოიხატოს.**

ეს თემა უაღრესად აქტუალური რომაა, ამას თუნდაც საგადასახადო კოდექსის პროექტის ახალი რედაქცია მოწმობს, რომელსაც საქართველოს პარლამენტი დღეზე დაამტკიცებს და სადაც ერთ-ერთი მთავარი აქცენტი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზეა გაკეთებული, **რომელთა წარმომადგენლებმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ხერხემალი ისე უნდა გაამაგრონ, რომ მომავალი აყვავების გზაზე მან გამართულად, სხვის დაუხმარებლად და „უყავარჯნოდ“ იაროს**. საამისოდ კი, ცხადია, წვრილი თუ საშუალო ბიზნესის, ამ შემთხვევაში, ვაჭრობის წარმომადგენლებს, რომელთა მიღმა მათი ოჯახების წევრები, ასევე პროდუქციის იმპორტიორები, დისტრიბუტორები, დამსაწყობლებლები, გადამზიდავები, ადგილზე მიმტანები და კიდევ მრავალი ფუნქციის შემსრულებელი ხალხი მოიაზრება, **თავის გატანაც და გადასახადების გადახდაც თავისუფლად უნდა შეეძლოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ასე არ არის.**



ზედა სართულზე ასული კი „თეთრი ქალაქის“ ცარიელი სავაჭრო ფართით დავრჩი გაოცებული. **ზოგიერთ მხარეს გავლას საერთოდ აზრი არა აქვს, რადგან ერთიანად ცარიელია სავაჭრო სათავსოები, ხოლო სადაც გაქირავებულია, მყიდველი ან უბრალოდ დამთვალიერებელი კანტი-კუნტად თუ იყო.** საუბრისას მოიჯარეებმა საერთო გასაჭირი იმავე მიზეზებით ახსნეს, რაც პირველ სართულზე შევიტყვე: **რეკლამის არარსებობა, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, დიდი საიჯარო გადასახადი, რის გამო იძულებულნი არიან საქონელს მაღალი ფასი დაადონ,** რაც, ცხადია, ვაჭრობას ხელს არ უწყობს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ყოვლად გაუმართლებელია შემოსასვლელში ელექტროქვესადგურის მახინჯი ნაგებობა, რომელიც შენობის შემოსასვლელს მთლიანად ფარავს. **„თეთრი ქალაქის“ ადმინისტრაციის მოიჯარეებთან ამჟამინდელი დამოკიდებულება თანასწორი პარტნიორების კი არა, უფრო მონათმფლობელურ ურთიერთობებს წააგავს**. თუმცა მაშინაც კი კარგი ბატონის უპირველესი საზრუნავი მონისთვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა იყო, რათა მას მეტი სარგებლის მოტანის შესაძლებლობა ჰქონოდა, აქ კი....

**პარადოქსია: „თეთრი ქალაქის“ ადმინისტრაციასა და მოიჯარეებს შორის დადებული სტანდარტული ხელშეკრულების პირობის თანახმად, საზოგადოების ადმინისტრაცია ამ უკანასკნელს მიაქირავებს ფართს და შემდგომში „ხელს არ შეუშლის მის საქმიანობას“**. **ეს ბოლო თეზისი, რბილად რომ ვთქვათ, გაკვირვებას იწვევს: ნეტავ რა ხელის არშეშლაზეა ლაპარაკი? განა ხელშეკრულებაში ის არ უნდა იყოს აღნიშნული, რომ ადმინისტრაცია ყოველმხრივ ეცდება, მეწარმეს ხელი შეუწყოს წარმატებულ საქმიანობაში?**

და კიდევ ერთი: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „თეთრი ქალაქის“ სავაჭრო ფართის, ფაქტობრივად, ნახევარზე მეტი ამჟამად ცარიელია იმის გამო, რომ იქ არა თუ ახალი მოიჯარეები არ მიდიან, არამედ ბევრი ძველი გაიქცა და ბევრს ახლაც თვალი გაქცევაზე უჭირავს ისევ და ისევ იჯარის მაღალი ფასისა და იმის გამო, რომ **„თეთრი ქალაქის“ შენობაში ცაბაძის ქუჩის მხრიდან შესასვლელი სრულიად გაურკვეველი მიზეზით ინგრევა, რის გამოც მომხმარებელს იქიდან სავალი გზა ჩაკეტილი აქვს.**

ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა ქვეყნის მთავრობა და დედაქალაქის ხელისუფლება გამორჩეულ ყურადღებას უთმობენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, თბილისის ქუჩებში ესოდენ მომრავლებული გარემოვაჭრეების ცივილიზებულ პირობებში მოქცევას, რაც ხან სიცივით, ხან პაპანაქება სიცხით შეწუხებულ ხალხსაც მისცემს შეღავათს და ქალაქსაც წაადგება, **თუმცა „თეთრი ქალაქის“ ადმინისტრაციას სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით მიჰყავს საქმიანობა, რაც მოიჯარეებს გაქცევისკენ უბიძგებს, უწინარესად, მძიმე საგადასახადო უღლის გამო.**

ახალი კულტურულ-ეკონომიკური ცენტრის ამ მხარის დანგრევამ კი, როგორც ბატონი ანზორ გაბიანი საგაზეთო პუბლიკაციაში აღნიშნავს, **„თეთრ ქალაქს“ უკვე დააკლო დაახლოებით 500 ათასი ლარის შემოსავალი და ეს თანხა დღითი დღე იზრდება.** ამასთან, აღნიშნული ქმედება აზარალებს არა მარტო საზოგადოება „თეთრ ქალაქს“, არამედ მისი სავაჭრო ფართის მოიჯარეებსაც, რომელთაგან მრავალი იძულებული გახდა, უარი ეთქვა ფართის ქირაობაზე მთელ რიგ მიზეზთა გამო. **პირველია სანაცვლოდ შეთავაზებული ტერიტორიის მოუწყობლობა, მეორე კი — საიჯარო ქირის წინასწარ გადახდის მოთხოვნა, ქირის გაუმართლებლად დიდი ოდენობა** და ა.შ. რაც მოიჯარეთათვის შეუსრულებელ პირობად გადაიქცა.

**ყოველივე ამას და კიდევ რამდენიმე ფაქტორს, რომელთა შესახებაც, როგორც ჩანს, მალე უფრო დაწვრილებით მოგვიწევს საუბარი. „თეთრი ქალაქი“ გაკოტრების გზით მიჰყავს და მას ახლო მომავალში „აჩრდილების ქალაქად“ გადაქცევას უქადის.**

**ოთარ ტურაბელიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კლინტონი რუსეთის მეზობლების დამშვიდებას ცდილობს

**თავისი მოგზაურობის დასასრულს, რომლის მიზანიც იყო დაერწმუნებინა რუსეთის მეზობლები იმაში, რომ ობამას ადმინისტრაცია მათ არ ივიწყებს, როდესაც მოსკოვთან ურთიერთობას აუმჯობესებს, სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გამოიყენა დიპლომატიური ფორმულირებებიდან ყველაზე მარტივი და ქართველებს განუცხადა, რომ შეერთებულ შტატებს შეუძლია „ერთდროულად იარონ და ღეჭონ კიდეც რეზინი“**

კლინტონი იმეორებდა ამ არგუმენტს, როგორც ლოცვას თავისი ხუთდღიანი მოგზაურობის დროს უკრაინაში, პოლონეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში, ამბობდა იმის შესახებ, რომ „გადატვირთვა“ არ აიძულებს შეერთებულ შტატებს, გასწიროს თავისი გავლენა და პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

თითქოს ხაზს უსვამდაო თავის ამ აზრს, მან ყველაზე მკაცრი ფრაზებით დაგმო საქართველოში რუსეთის „შეჭრა და მიმდინარე ოკუპაცია“ თავისი ვიზიტის დროს საქართველოს დედაქალაქში. ეს შეხვედრა გაიმართა ორშაბათს. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ამაზე მოახდინა ის რეაგირება, რომ უსაყვედურა საქართველოს, რომ იგი იზიდავს ვაშინგტონს იმის ნაცვლად, რომ თავად პირდაპირ აწარმოოს მოლაპარაკება თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებთან აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, რომლებიც აღმოჩნდნენ რუსეთთან საქართველოს ომის ცენტრში 2008 წელს.

„არ არის საჭირო გადაწყვეტილების ძებნა სხვაგან“, – თქვა პუტინმა, რომლის სიტყვებიც მოჰყავს საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსს“. მან აგრეთვე ეჭვქვეშ დააყენა კლინტონის სიტყვები, როდესაც სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით თქვა: „ვიღაცას მიაჩნია, რომ იგი ოკუპირებულია, ვიღაცას მიაჩნია, რომ ის გათავისუფლებულია“.

ამ რეგიონში მოხდა მნიშვნელოვანი გარდაქმნები მას შემდეგ, რაც შარშან ივლისში ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი გამოვიდა იგივე გზავნილით, რითაც კლინტონი, ერთ-ერთ დედაქალაქში.

პოლონეთი და რუსეთი განიცდიან უპრეცედენტო დათბობის პერიოდს ურთიერთობაში პრეზიდენტის თვითმფრინავთან მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, რის შედეგადაც დაიღუპნენ პოლონეთის პრეზიდენტი და რამდენიმე მაღალი რანგის ხელმძღვანელი. ახალი პრეზიდენტის დროს უკრაინამაც მკვეთრად შეიცვალა თავისი ურთიერთობა მოსკოვთან, ნაწილობრივ იმის გამო, რომ აქვს საფინანსო დახმარების იმედი. აზერბაიჯანის ხელმძღვანელები ჩივიან უყურადღებობის შესახებ ობამას ადმინისტრაციიდან, რასთან დაკავშირებითაც მათ მიმართეს რუსეთს, რათა იგი გახდეს შუამავალი კონფლიქტის მოწესრიგებაში მთიანი ყარაბაღის სადავო ტერიტორიებთან დაკავშირებით.

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ამ მხრივ, ვისი ურთიერთობაც რუსეთთან ცივი რჩება. ის შიშით ადევნებს თვალყურს ურთიერთობათა გაღრმავებას ობამასა და პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს შორის. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არ დააყოვნა კომენტარი გაეკეთებინა 24 ივნისს ამერიკის და რუსეთის პრეზიდენტებს შორის გამართული „ჰამბურგის სამიტისთვის“.



„თუ გინდა, რომ მიირთვა ჰამბურგერები ამერიკის პრეზიდენტთან სადმე ცივილიზებულ ადგილას, ეს ნიშნავს, რომ შენც ცივილიზებულად უნდა იქცეოდე, – განაცხადა გასულ გამოსასვლელ დღეებში სააკაშვილმა, როდესაც საქართველოს ტელევიზიით გამოდიოდა, – ეს აგრეთვე ნიშნავს იმას, რომ შენ უნდა მოახდინო სხვა ქვეყნის ოკუპაცია.

კლინტონი შეეცადა გასაგები გაეხადა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ ვაშინგტონი გააგრძელებს ამ რეგიონში დამკვიდრებას, შეეცდება განავითაროს პოლიტიკური პლურალიზმი და ხელისუფლების დემოკრატიული გადაცემები.

მართალია, რკინის ფარდა უკვე აღარ არსებობს, თქვა მან ვიზიტის დროს კრაკოვში, „ჩვენ უნდა ვერიდოთ იმ ფოლადის გირაგებს (მარწუხებსძ, რომლის დახმარებითაც ბევრი ქვეყანა ნელა თრგუნავს სამოქალაქო საზოგადოებას და ადამიანთა სულებს“, და ამ სიაში რუსეთი დააყენა ზიმბაბვეს, კონგოს, ეთიოპიის, ეგვიპტისა და ჩინეთის გვერდით. კლინტონმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი გააგრძელებს ამ რეგიონში არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას, თუმცა ეს მოქმედება უკვე დიდი ხანია მოსკოვის გაღიზიანებას იწვევს, და დაპირდა, რომ გამოყოფენ 2 მილიონ დოლარს იმ ორგანიზაციების დახმარების ფონდისთვის, რომლებიც იმყოფებიან ზემოქმედების ქვეშ და იძულებული არიან დაიხურონ.

ეს გაფრთხილება მეტად დროულია, ამბობს უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი საერთაშორისო ურთიერთობის ევროპის საბჭოდან ენდრიუ უილსონი. ამასთან ერთად, ის გვაფრთხილებს, რომ შეერთებული შტატები ეწევა რისკს დაკარგოს აქტიური მებრძოლიმოძღვარის რეპუტაცია, თუ ამ ქვეყანას აღიქვამს შემდეგშიც, როგორც „პროცესში ჩაურთველად“ ეკონომიკური კრიზისისა და დიპლომატიური რყევების პერიოდში.

„ნახევრად ავტორიტარული კონსოლიდაცია ტენდენციად იქცა მთელს რეგიონში. ეს შეიძლება ვნახოთ უკრაინაში და საქართველოში, – ამბობს უილსონი, – ეყოფა განა შეერთებულ შტატებს გავლენა, რათა ეს ტენდენციები აღმა წარმართოს? არის რიტორიკული განცხადებები და ეს არის მეორე რაუნდი. ჯერ იყო ბაიდენის ტურნე, ამჟამად ეს არის კლინტონის ვიზიტი“.

განსაკუთრებით მწვავე უკმაყოფილება იგრძნო კლინტონმა აზერბაიჯანში, რომელიც გრძნობს დამამცირებელ დამოკიდებულებას ამერიკის მხრიდან იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის თანამდებობა აზერბაიჯანში ვაკანტურად რჩება თითქმის ერთი წელიწადია. დამცირების სხვა გამოვლინებად გახდა ის, რომ აზერბაიჯანი არ მიიწვიეს აპრილში ბირთვული უშიშროების სამიტზე, რომელიც ვაშინგტონში გაიმართა. ადმინისტრაციამ ამაზე რეაგირება მოახდინა გაზრდილი ყურადღების გამოვლენით: ივნისში თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი ჩაფრინდა ბაქოში ობამასგან პრეზიდენტ ილჰამ ალიევისადმი პირადი წერილით.

მაგრამ ყველაზე დელიკატური სამუშაო კლინტონს ელოდა საქართველოში, რომლის სამხედრო მოსამსახურეებიც ძველებურად უჩვენებენ თავიანთ ძალას რუსებს საქართველოდან გამოყოფილი ტერიტორიების, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის – საზღვრებზე.

შარშან თბილისში ბაიდენის ვიზიტის წინ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სთხოვს შეერთებულ შტატებს საქართველოს მიაწოდოს საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო იარაღი რუსეთის ახალი თავდასხმის მოსაგერიებლად. საქართველოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ სურდათ გაეგოთ, თუ როგორ ეხმარება ამერიკის შეერთებული შტატები განახორციელოს თვითგამოცხადებული ანკლავების საზღვრებისთვის თვალყურის დევნა. ორივე თხოვნა უპასუხოდ დარჩა.

ორშაბათს საქართველო კეთილსინდისიერად დუმდა, აღარ გამოთქვამდა ამგვარ თხოვნებს. კლინტონმა გააფრთხილა საქართველო, რომ იგი არ შეეცადოს ძალით დაიბრუნოს გამოყოფილი ტერიტორიები, განაცხადა, რომ „არ არის სწორი მოვახდინოთ წარსულზე დაციკლება“. როდესაც უპასუხებდა შეკითხვას იმის შესახებ, სურს თუ არა საქართველოს დახმარება ამერიკისგან თავისი შეიარაღებული ძალების განმტკიცებაში, სააკაშვილმა განაცხადა, რომ ეს საკითხი გადაწყდება „თანდათანობით“, რომ მას არავითარი პრეტენზიები არ გააჩნია ადმინისტრაციის პოზიციისადმი.

„აქ არავითარი საიდუმლოება არ არის, რასაკვირველია, ზოგიერთი შეშფოთებულია იმით, თუ რას შეიძლება ეს ნიშნავდეს, – თქვა მან, – თუ გადატვირთვა მიგვიყვანს რუსეთის მოდერნიზაციასთან, ეს კარგი იქნება ყველა ჩვენგანისთვის“.

საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო გამოკვლევათა ფონდის პრეზიდენტმა ალექსანდრე რონდელმა თქვა, რომ კლინტონის სიტყვას „ოკუპაცია“ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

„ზოგჯერ სიტყვებიც საქმეა, – განაცხადა რონდელმა, – ბევრი ქვეყანა როდია მსოფლიოში, რომელსაც შეუძლია რუსებს ოკუპანტები უწოდოს. მხოლოდ ქართველები, ახლა კი ამერიკელებიც“.

The New York Times
ON THE WEB

## დედამიწის ზურგზე




**ბრიტანეთის დედოფალმა გამოაქვეყნა თავისი ანგარიშები: თითოეულ ქვეშევრდომს ის 62 პენსი უჯდება**

შარშან დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებმა მონარქის საჭიროებისთვის დახარჯეს 38,2 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ეს სამი მილიონით ნაკლებია, ვიდრე ადრე იყო. დედოფალი იძულებულია გასწიოს ეკონომია და გამოიყენოს ფული სარეზერვო ფონდიდან.

* * *

**კურილიის კუნძულების რაიონებში დარეგისტრირდა 2 მიწისძვრა**

პირველი მიწისქვეშა ბიძგი 4,3 მაგნიტუდით დაფიქსირებულია ქალაქ კურილსკიდან 155 კილომეტრზე ჩრდილო-აღმოსავლეთით. მეორე მიწისქვეშა ბიძგი 4,8 მაგნიტუდით მოხდა 28 წუთის შემდეგ სამხრეთ კურილსკის რაიონის აღმოსავლეთით. მსხვერპლი, ნგრევა, ცუნამის წარმოქმნის საშიშროება არ არის.

* * *

**ჩინეთში დააკავეს ოთხი იაპონელი ნარკოტიკების კონტრაბანდის ეჭვით: ისინი შეიძლება სიკვდილით დასაჯონ**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ნარკოტიკების კონტრაბანდა მკაცრად ისჯება. მიმდინარე წლის აპრილში ამგვარი დარღვევისთვის სიკვდილით დასაჯეს იაპონიის ოთხი მოქალაქე, იაპონიის ხელისუფლების მოწოდების მიუხედავად თავი შეეკავებინათ სიკვდილის განაჩენის სისრულეში მოყვანისგან. დეკემბერში სიცოცხლეს გამოესალმა ერთი ბრიტანელი.

* * *



**ეკვადორის პრეზიდენტი დაპატიმრებით ემუქრება თავის კოლუმბიელ კოლეგას**

ეკვადორის პრეზიდენტის სიტყვებით, ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ხუან მანუელ სანტოსი შეეცდება მოინახულოს მეზობელი ეკვადორი. ეკვადორში დღემდე ძალაშია ორდერი ხუან მანუელ სანტოს დაპატიმრებაზე, რომელიც გამოიწერა, როდესაც მომავალი პრეზიდენტი სათავეში ედგა კოლუმბიის სამხედრო უწყებას.

* * *

**ელექტროსადგურის აფეთქებამ ტორონტოში უშუქოდ 250 ათასი კაცი დატოვა**

ვარაუდობენ, რომ აფეთქების მიზეზი გახდა ძლიერი სიცხე (დაახლოებით 35 გრადუსი ცელსიუსით), რაც ამ დღეებში არის კანადის უდიდეს ქალაქში. ლამის ჩაიშალა საზეიმო სადილი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II-ისა და მისი მეუღლის, ედინბურგის ჰერცოგის ფილიპის მონაწილეობით.

* * *

**ჩინეთში სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს იმ შახტის ორ მფლობელს, რომელშიც 20 კაცი დაიღუპა**

კიდევ 8 კაცს სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიუსაჯეს, მათ შორის, სამუდამოც. აფეთქების პირდაპირი ეკონომიკური ზარალი 713 ათას დოლარს შეადგენს.



# ჰილარი კლინტონმა საქართველო ამერიკის მხარდაჭერაში დაარწმუნა

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს. ეს მან თბილისში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა**

კლინტონმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები ყოველთვის თანმიმდევრული იყო საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „არ ცნობს გავლენის ზონებს“, მას მხედველობაში ჰქონდა რუსეთის განცხადება განსაკუთრებული გავლენის შესახებ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ რუსეთმა აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სუვერენიტეტი.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო გაერთიანება ორივე ამ ტერიტორიას ძველებურად მიიჩნევს, როგორც საქართველოს ნაწილს.

თბილისში პრესკონფერენციაზე გამოსვლის დროს ჰილარი კლინტონმა თქვა, რომ მისი სიტყვები საქართველოს მხარდაჭერის შესახებ არის არა მხოლოდ მისი საკუთარი თვალსაზრისი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას პოზიციაც.

მისი სიტყვებით, თავად ჰილარი კლინტონიც, პრეზიდენტი ობამაც თავიანთ თვალსაზრისს ამ პრობლემასთან დაკავშირებით აცნობებდნენ რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს მისი ამასწინანდელი ვიზიტის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კლინტონმა მოუწოდა რუსეთს დაიცვას დაპირებები, რომლებიც არის რუსეთ-საქართველოს შეთანხმებაში დაზავების შესახებ, მათ შორის, რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ იმ პოზიციებზე, რომლებზეც ისინი იმყოფებოდნენ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დაწყებამდე.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ასევე მოუწოდა მოსკოვს უზრუნველყოს ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება საქართველოს იმ რაიონებში, რომლებსაც ძველებურად რუსეთის ჯარები აკონტროლებენ.

თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ აღფრთოვანებულია ვაშინგტონის მხარდაჭერით, რასაც იგი ავლენს საქართველოს მიმართ, მიუხედავად მოსკოვთან ურთიერთობის „გადატვირთვისა“.

საქართველოს დედაქალაქი იყო უკანასკნელი გაჩერება ჰილარი კლინტონის ტურნეში აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ქვეყნებში.

თბილისში კლინტონის ვიზიტის კომენტირების დროს რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, ნუ ეძებს პრობლემის გადაჭრას, რაც მას წარმოექმნა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, და ნუ მიმართავს მესამე ძალის დახმარებას.

„არ არის საჭირო გადაწყვეტილების ძებნა სხვაგან“, – ასეთი კომენტარი გაუკეთა პუტინმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მყარად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ელოდება „ოკუპაციის შეწყვეტას“.

როდესაც თბილისს მოუწოდებდა, თავად მოაწესრიგოს პრობლემები სოხუმთან და ცხინვალთან, ვლადიმერ პუტინმა მოიყვანა ციტატა „ინტერნაციონალიდან“: „არავინ მოგვცემს თავისუფლებას – არც მეფე, არც ღმერთი და არცა გმირი“.

BBC RUSSIAN.com

ჩვენი კარაბადინი

# კიბოს დამარცხება შეიძლება



## ექიმებს ახალი იარაღი გაუჩნდათ

***მსახიობ ანა სამოხინას და მომღერალ ვალენტინა ტოლკუნოვას გარდაცვალებამ კვლავ ჩაგვაფიქრა: რატომ იხოცებიან დღემდე კიბოსგან და როგორ შევაჩეროთ ეს სენი?***

***ექიმები აცხადებენ: კიბო განაჩენი არაა. უფრო სწორი იქნებოდა მიგვეჩნია იგი ქრონიკულ დაავადებად, ისეთად, როგორიცაა შაქრიანი დიაბეტი ან გულის იშემიური დაავადება. მაშასადამე, დიაგნოზი უნდა აღვიქვათ მშვიდად და არ ჩამოვყაროთ ყურები, ვიმკურნალოთ სპეციალისტთან. ოპტიმიზმისთვის არის საფუძვლიანი მიზეზები: ონკოლოგიაში მოხდა ნამდვილი აფეთქება. პირველ რიგში ეს შეეხება თავად სახიფათო სიმსივნეებს, მაგალითად, კუჭის, კუჭქვეშა ჯირკვლებისა და სწორი ნაწლავის კიბოს.***

### ვასწავლეთ გერმანელებს

**„ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ამ დაავადებათა ეგრეთ წოდებული 5-წლიანი ბარიერის გადალახვას ახერხებდნენ მხო-**



**ლოდ ერთეული პაციენტები და ამ შემთხვევებს მიიჩნევდნენ ხოლმე უნიკალურად, – ამბობს № 1 ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიის განყოფილების გამგე ალექსეი სევერცევი. – დღეს უახლესი მაღალეფექტიანი პრეპარატების გამოყენება (ქიმიოთერაპია) უხანგრძლივებს ხალხს სიცოცხლეს არა თვეობით, არამედ წლობით.** მაგალითად, ერთმა ავადმყოფმა ქალმა, რომელსაც ჰქონდა გავრცელებული სახის კუჭის კიბო მეოთხე სტადიაში და მეტასტაზები (სიმსივნეები რომ თავიდან მოგვეშორებინა ქირურგიული ჩარევით, თითქმის ყველა ორგანო უნდა ამოგვეკვეთა), ეფექტიანად იმკურნალა ქიმიოთერაპიით. ჯერ კიდევ 5 წლის წინათ ის ვერ იცოცხლებდა ორ თვესაც კი, დღეს კი შევძელით გადაგვეწია სამწუხარო ფინალი.

წარმოუდგენელი ტემპით მიიწევს წინ ონკოქირურგია. ამ ბოლო პერიოდამდე ქირურგებმა იცოდნენ: თუ ავადმყოფს კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოთი აქვს მეტასტაზები ღვიძლში, მისთვის ოპერაციის გაკეთებას აზრი არა აქვს. ახლა კი საკითხი, შეიძლება თუ არა ასეთი ავადმყოფებისთვის ოპერაციის გაკეთება, აღარც კი განიხილება. პასუხია: შეიძლება. 2008 წელს ჩვენს კლინიკაში, პირველად მსოფლიოში, მოხდა კუჭქვეშა ჯირკვლის სრული ამოკვეთა ამ ორგანოს კიბოს რეციდივთან დაკავშირებით. თანაც ადრე ამ ავადმყოფს გერმანიაში უარი უთხრეს ოპერაციაზე. მაგრამ ქირურგიულმა ჩარევამ ჩვენთან წარმატებით ჩაიარა და პაციენტი გაემგზავრა ქიმიოთერაპიისთვის გერმანიის კლინიკაში. მასზე დაკვირვების შემდეგ ადგილობრივმა ექიმებმა ჩვენს მიერ შეთავაზებული ოპერაცია შეიტანეს კუჭქვეშა ჯირკვლის შესაძლო ოპერაციების საერთოგერმანულ რეესტრში. 2009 წლიდან იგი ხორციელდება გერმანიის სპეციალიზებულ ცენტრებში.

### მოვახრჩოთ სიმსივნე

**ერთ-ერთი ყველაზე ვერაგი სიმსივნე – ეს მსხვილი ნაწლავის კიბოა. მაგრამ ამ სნეულებით დაავადებულებს ყოველწლიურად უჩნდებათ სულ უფრო მეტი შანსი.**

„ჩვენს ქვეყანაში დიაგნოზით „მსხვილი ნაწლავის კიბო“ დღემდე პაციენტების მხოლოდ 40 პროცენტი თუ გადარჩებოდა, თუმცა საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი – 65 პროცენტია, – ამბობს რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ბ.პეტროვსკის სახელობის ქირურგიის რუსეთის სამეცნიერო ცენტრის განყოფილების გამგე პიოტრ ცარკოვი. – მაგრამ გაჩნდა ქირურგიული მკურნალობის მეთოდიკები, რომლებიც საშუალებას იძლევიან შევცვალოთ ეს სამწუხარო სტატისტიკა. მიაჩნიათ, რომ მსხვილი ნაწლავის სიმსივნეების წარმოქმნას წინ უსწრებს მსხვილი ნაწლავის კედლის პოლიპის გაჩენა. პოლიპის გადაქცევა ავთვისებიან სიმსივნედ დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მაგრამ მისი გავრცელება და ზრდა შეზღუდულია შემაერთებელი ქსოვილის სპეციალური ბუდით (ემბრიული ფენებით). ეს ფენები – ბუნებრივი საზღვრებია ორგანიზმის ორგანოებსა და სტრუქტურებს შორის. ჩვენი ამოცანაა – ამოვკვეთოთ სიმსივნე სწორედ იმ ემბრიონულ საზღვრებში, რომლებშიც მან დაიწყო ჩამოყალიბება. ოპერაცია მაქსიმალურად დამნდობია, საშუალებას იძლევა შევუნარჩუნოთ დარჩენილ ორგანოს და მის მეზობლებს ყველა ფუნქცია. მსხვილი ნაწ-



ლავის კიბოს ქირურგიაში ერთ-ერთი ყველაზე რთულია – სწორი ნაწლავის კიბოს მკურნალობა. ემბრიონულ ფენაში ამოკვეთის მეთოდიკის გამოჩენამდე დაავადების დაბრუნების ალბათობა შეადგენდა 25 პროცენტს, ამჟამად ამ მაჩვენებელმა 5 პროცენტამდე დაიწია. ზოგჯერ ოპერაციაგამოვლილ პაციენტს აღარ სჭირდება ძვირადღირებული წამლები და დასხივება.

ამას წინათ კი ონკოლოგებმა ნახეს ეფექტიანი იარაღი კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის ურთულესი ნეიროენდოკრინული სიმსივნეების წინააღმდეგ. ასეთ ახალწარმონაქმნთა თავისებურება არის ის, რომ ისინი არ ჭამენ ადამიანს, როგორც კიბო, არამედ გამოიმუშავებენ ჰორმონებს, რომლებიც იწვევენ მკვეთრად გამოხატულ დიარეას (კუჭის აშლილობას), ძლიერ ტკივილებს მუცელში, სახის გაწითლებას, გახშირებულ გულისცემას. ასეთი ავადმყოფებისთვის ოპერაცია უნაყოფოა: რამდენიმე თვის შემდეგ სიმსივნე კვლავ წარმოიქმნება და სწრაფად იწვევს მეტასტაზებს. მაგრამ ექიმებმა ისწავლეს მისი რეცეპტორის დაბლოკვა ისე, რომ იგი წყვეტს ჰორმონების გამოყოფას და მეტასტაზებს. სიმსივნე რჩება ორგანიზმში და ის ხელს არ უშლის ადამიანს ცხოვრებაში.

**სხვათა შორის**

**თურმე, შეიძლება აცრები კიბოს წინააღმდეგ! მკაცრად ინდივიდუალურ ვაქცინას ამზადებენ ლაბორატორიულ პირობებში თავად პაციენტის სიმსივნის უჯრედებისგან. ის სასარგებლოა მათთვის, ვისაც ჯერ არ აქვს მეტასტაზები, მაგრამ აქვს დაავადების განვითარების აშკარა რისკი – „აცრა“ მნიშვნელოვნად ამცირებს მას. უკვე შემუშავებულია ვაქცინები თირკმლის, მელანომის კიბოს მკურნალობისთვის, რიგშია – სხვა სახეობებიც.**

# საშა + მაშა = ?

## რითაა სახიფათო ძალიან ადრეული სექსი

**რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში 16 წლის გოგონა დაიღუპა. ერთ-ერთი ვერსიით, ტრაგედია მოხდა ექიმების შეცდომით აბორტის დროს. ახალგაზრდა პაციენტისთვის ფეხმძიმობის შეწყვეტა წინააღმდეგ ნაჩვენები იყო.**

### ცნობისმოყვარეობით

ეს ადრე იყო, როდესაც სადარბაზოებში ან ლობეებზე მოზარდები აწერდნენ: „საშა+მაშა=სიყვარულს“. ახლა ამ ტოლობის ბოლო ნაწილს ხშირად ცვლიან სიტყვით, რომელიც, თანამედროვე ახალგაზრდების ცნებებით, იძლევა სქესების ურთიერთობათა უფრო რეალისტურ აღწერას – „სექსს“. თანამედროვე



მშობლებს კი ყველაზე მეტად ეშინიათ, რომ მათმა შვილმა არ აიკიდოს რაიმე ცუდი ავადმყოფობა, რომ ქალიშვილი არ დაორსულდეს. შიშისთვის კი მიზეზები არის.

„დღეს ოთხი მოზარდიდან სამს აქვს სექსუალური დებიუტი მოზარდის ასაკში. გოგონებს დაახლოებით 16 წლის, ბიჭებს – 15 წლის ასაკში, – ამბობს რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი ელენა უვაროვა. – უფრო ხშირად ეს ხდება ნაკლებად ნაცნობ, ახლახან შეხვედრილ პარტნიორთან (გოგონების 42 და ბიჭების – 68 პროცენტი). ესაა უგუნური ან შემთხვევითი სექსი, რომელიც არ გულისხმობს მუდმივ პარტნიორობას, ინტერესის გულისთვის, ეგრეთ წოდებული შემეცნების გულისთვის. გოგონების 50 პროცენტი 19 წლისთვის ასწრებენ 3-დან 6-მდე პარტნიორის შეცვლას. მარტო 2007 წლის მონაცემებით, ათასიდან 652 ბავშვი ავადდება ინფექციით, რომელიც სასქესო გზით გადაეცემა. ზოგიერთი მათგანი განუკურნებელია, მივყავართ იმპოტენციამდე და უნაყოფობამდე, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებამდე. ბავშვი რაც ადრე იძენს ინტიმური ცხოვრების პირველ გამოცდილებას, მით უფრო მაღალია დაავადების რისკი, ორგანიზმის უმწიფარობის გამო. გონებრივი უმწიფარობის გამოც: სტატისტიკის თანახმად, ზრდასრული ქალების მხოლოდ 10 პროცენტი იყენებს საიმედო კონტრაცეფციას, 15-16-წლიანებში კი ეს ციფრები გაცილებით დაბალია.

### 11 წლის დედა?

მიმდინარე წლის თებერვალში ხანტი-მანსიისკის ოლქში სკანდალური ისტორია მოხდა. დაორსულდა 11 წლის საბავშვოსახლელი გოგონა. ის ორჯერ ჰყავდათ ნაშვილები და ორჯერვე ამყოვანმა მშობლებმა უარი თქვეს ბავშვზე. ორსულობა აღმოჩნდა საბავშვო სახლში მორიგი დაბრუნების შემდეგ გინეკოლოგის შემოწმების დროს. აღმოჩნდა, რომ პერიოდი საკმაოდ დიდი იყო. როგორ მოიქცნენ? გაუკეთონ აბორტი? მაგრამ ფეხმძიმობის 22-ე კვირის ბავშვი ხომ უკვე სავსებით სიცოცხლისუნარიანია! ექიმები ჩიხურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

რასაკვირველია, უმეტეს შემთხვევაში საკითხს – გააჩინოს თუ არა მცირეწლოვანმა დედამ შვილი – არ განიხილავენ. თუ გოგონა ფეხმძიმე აღმოჩნდა, როგორც წესი, ის ცდილობს ყველანაირად თავიდან მოიშოროს არასასურველი ბავშვი.

„ხშირად მოზარდებს შორის დღეს შეიძლება გაიგონო ასეთი საუბარი, – განაგრძობს ქალბატონი ელენა. – სკოლის მეგობარ გოგონას მენსტრუაციამ დაუგვიანა ორი კვირით. ის, ალბათ, ორსულადაა. ამის შესახებ გოგონები თავიანთ ნორჩ ასაკში საუბრობენ მშვიდად. რა უნდა ქნას? რა თქმა უნდა, აბორტი. სხვა აზრი არც არავის უჩნდება. რა მოჰყვება ამას? არაფერიც არ მოჰყვება. ნახეთ, რაებს უჩვენებენ სერიალებში: გმირმა გოგონამ გაიკეთა აბორტი და კვლავ ჯანმრთელია და ბედნიერი. დროა დავფიქსირდეთ იმაზე, თუ სწორად როგორ წარმოვაჩინოთ ფილმებში სამედიცინო ინფორმაცია. სანამ მოსახლეობის სამედიცინო კულტურა დაბალ დონეზე რჩება, დადებითი ძვრები არ იქნება“.

ჩაუფიქრდით ამ ციფრებს. ჩვენს ქვეყანაში 2009 წელს მოზრდილ ქალებში შობადობისა და აბორტების რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო, მოზარდებს შორის ეს შეფარდება ასეთია (რაც საშინელებაა) – 1:4.

### შობო თუ მოკვდე?

მეორე მხრივ, დააძალონ პატარა დედას აუცილებლად შობოს ბავშვი, ექიმებს არ შეუძლიათ. თითქოსდა ჯანმრ-



თელ ნორჩ ქალებს ხშირად აქვთ ორსულობის გართულებები და პათოლოგიური შობადობანი. მათ შორის სიკვდილიანობა დედობის გამო 5-8-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე რეპროდუქციული ასაკის ქალებში. ბავშვები, რომლებიც შობეს 18 წლამდე ასაკის დედებმა, რუსეთში სულ 2,5 პროცენტია. თუმცა ქვეყნის მასშტაბით, რასაკვირველია, ეს ცოტა როდია.

თანაც უნდა გეშინოდეს არა მხოლოდ ფეხმძიმობისა და ინფექციისა. ფსიქოლოგების გამოკვლევების მონაცემებით, სექსუალურად აქტიური თინეიჯერი გოგონების 25 პროცენტზე მეტი განიცდის დეპრესიებს (ბიჭები ნაკლებად). მათს თანატოლთა შორის, რომლებიც არ ეწევიან სექსს, მხოლოდ 7,7 პროცენტს აქვს ფსიქოლოგიური პრობლემები. ქალიშვილები, რომლებიც ადრე ეთხოვებიან ქალწულობას, სამჯერ უფრო ხშირად მიმართავენ თვითმკვლელობას, ვიდრე მათი გონიერი თანატოლები. ბიჭებს შორის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია.

**იულია ბორტა**

ЗДОРОВЬЕ

**გაზეთის ინტერნეტ-გამოკითხვა**

**რომელ ასაკში გქონდათ პირველი სექსუალური გამოცდილება?**

**14-17 წელი – 25 პროცენტი (405 ხმა)**
**18-20 წელი – 25 პროცენტი (402 ხმა)**
**20-23 წელი – 22 პროცენტი (351 ხმა)**
**23-25 წელი – 14 პროცენტი (234 ხმა)**
**არ მქონია – 14 პროცენტი (228 ხმა)**
**სულ – 1620 ხმა.**

## ფეხბურთი

# დაბრუნებაც ამას ჰქვია

გენერალური სპონსორი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

**ერთი თვეც და დაიწყება საქართველოს მორიგი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი.**

აღსანიშნავი ფაქტი რომ არა, მომავალი მარათონის სტარტს ჩვეულებრივ ამბად მივიჩნევდით, მაგრამ რადგან ჩვენს რუტინად ქცეულ, უმაყურებლო და უკლასო საშინაო ტურნირში საინტერესო რამ თითქმის არ ხდება ხოლმე, მოდით, ხმამაღლა დავჭექოთ სასიამოვნო სიახლის შესახებ: უმაღლეს ლიგას ფოთის „კოლხეთი“ და ქუთაისის „ტორპედო“ დაუბრუნდნენ!

სტაჟიან გულშემატკივრებს არა, მაგრამ წარსულთან მწყრალად მყოფ, კომპიუტერით დაბანგულ ახალგაზრდობას შევახსენებთ, რომ სწორედ ფაზისში დაირწა ქართული ფეხბურთის აკვანი, ხოლო ქვეყნის მეორე ქალაქი ტალანტების სამჭედლოს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ მივაჩნია აღნიშნული კლუბების აღორძინება დამდეგი სეზონის ბრწყინვალე პრელუდიად.

დავძენთ, რომ 6-7 აგვისტოს პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: „ოლიმპი“ – „ვიტ ჯორჯია“, „დინამო“ – „ცხინვალი“, „ზესტაფონი“ – „ტორპედო“, „ბაია“ – „სიონი“, „კოლხეთი“ – „სამტრედია“.

რაც შეეხება სრულ კალენდარს, მას პროფლიგა უახლოეს დღეებში დაამტკიცებს და ჩვენც ოპერატიულად შემოგთავაზებთ.

**გიორგი შოთაძე**

## ჭადრაკი

# პაიკიძე დედოფლობისკენ მიილტვის



**პოლონეთის ქალაქ ვროცლავში დასრულებულ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე 12 ქვეყნის 76 წარმომადგენელი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. მათ შორის გახლდათ ქართველი საერთაშორისო ოსტატი ნაზი პაიკიძე, რომელიც თანატოლებში მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონია.** ნიჭიერი სპორტსმენი, ცხადია, მიღწეულს არ სჯერდება და, როგორც უცხოელ ჟურნალისტებს განუცხადა, უფროსებშიც სურს მსგავსი ტიტულების მოპოვება. მართალია, წლეულს მან სკოლა დაამთავრა და ამერიკაში სწავლის გასაგრძელებლად ემზადება, მაგრამ ჭადრაკსაც დიდ დროს უთმობს და ტურნირებშიც მონაწილეობს. ვროცლავური ბატალიებიც ამის დასტურია. ნაზიმ ასპარეზობის ბოლო ტურში საკმაოდ ძლიერი უნგრელი დიდოსტატი ჩაბა ბალოში (რეიტინგი – 2624) დაამარცხა, 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა და მესამე-მეშვიდე ადგილები გაიყო. ჩვენებურს ნახევარ-ნახევარი ქულით გაუსწრეს პოლონელებმა – რადოსლავ ვოიტაშეკმა და 2002 წლის ევროპის ჩემპიონმა ბართოლომეი მაჩეიამ. ახალგაზრდა მოჭადრაკეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, საქართველოს ქალთა ნაკრებშიც დაიმკვიდროს ადგილი.

**ლექსო ცინცაძე**

## ველოსპორტი

# კვარცხლბეკზე – უცვლელი შემადგენლობით



**თბილისი-ფასანაური-ბაზალეთი – აი, ამ მარშრუტით გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი საგზატკეცილო ველოსპორტში დედაქალაქის, ქუთაისის, ზესტაფონისა და აჭარის წარმომადგენელთა მონაწილეობით. უფროს ასაკში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გიორგი ნადირაძემ, რომელმაც სამივე ეტაპი მოიგო და ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.**

აქვე გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**უფროსები: რბოლა მთაში, 2,7 კმ.** 1. გიორგი ნადირაძე (აჭარა), 2. არჩილ მახარაშვილი (თბილისი), 3. ნოდარ კაცაძე (აჭარა). **ინდივიდუალური რბოლა 32 კმ.** 1. გიორგი ნადირაძე, 2. ნოდარ კაცაძე, 3. ნოდარ ყვავაძე (ქუთაისი). **ჯგუფური რბოლა 135 კმ.** 1. გიორგი ნადირაძე, 2. არჩილ მახარაშვილი, 3. ნოდარ ყვავაძე.

**ჭაბუკები. რბოლა მთაში, 2,7 კმ.** 1. გიორგი ნარეკლიშვილი, 2. ლევან მიქელაძე, 3. გიორგი სიდიანი (სამივე – თბილისი), **ინდივიდუალური რბოლა 15 კმ.** 1. გიორგი სიდიანი, 2. ირაკლი ბაბლიძე (თბილისი), 3. გიორგი ნარეკლიშვილი. **ჯგუფური რბოლა 69კმ.** 1. ირაკლი ბაბლიძე, 2. გიორგი ნარეკლიშვილი, 3. გიორგი სიდიანი.

**გიორგი გაგუა**

## ანტირეკლამა

# „გაიტანეთ!“

**სიტყვამ მოიტანა და, იქნებ, ჩვენმა ძვირფასმა „საქართველოს რესპუბლიკამ“! შემოიღოს რუბრიკა „გაიტანეთ“! (ფილმიდან „ტიანშანი ანუ ცისფერი მთები“), რამეთუ ბევრი რამ დაგროვდა (იქნება ეს არქიტექტურული ქმნილებებიდან, ლიტერატურული ნაწარმოებებიდან თუ ცალკეულ პიროვნებათა ყოფა-ქცევიდან). გააქვთ კი ის, რაც ამას სრულებითაც არ იმსახურებს.**



ამჯერად ერთ „გასატან“ ლონისძიებას შევეხები.

იმ სიამოვნებას, რომელიც ღმერთმა (თუ ფიფამ) გვარგუნა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციის სახით (ამისთვის გულწრფელი მადლობა სპონსორებს), რა უფლებით გვიფუჭებს ხასიათს ყოველი რეპორტაჟის წინ ლუდის რეკლამა დაქირავებული ფანების ყოვლად უმსგავსო, უადგილო და უშინაარსო ღრიანცელითა და მანჭვა-გრეხით? დიახ, უშინაარსო, რადგან ის რომ შენი გუნდის სიყვარულით იყოს გამოწვეული, ხმას ვინ ამოიღებდა საწინააღმდეგოდ. არც სხვაზე გიშლით გულშემატკივრობას, მაგრამ ამ სახით, გონების დაკარგვამდე?

თუ დამიჯერებთ, ეს რეკლამა კი არა, ანტირეკლამა უფროა. ასე რომ, სვით, ბატონებო, ცივი ლუდი და ისიამოვნეთ, ჩვენ კი თავი დაგვანებეთ და მატჩის ყურების წინ ხასიათს ნუ გვიმღვრევთ, ასაღელვებელი ისედაც საკმარისად გვაქვს (მხედველობაში მაქვს მსაჯობისას დაშვებული უხეში შეცდომები, რაც ამ დონის ტურნირს ნამდვილად არ ეკადრება).

**პატივისცემით,**
**ფეხბურთის (სხვათა შორის, ლუდისაც) დიდი მოყვარული**
**რევაზ ტყემალაძე**

## მსხვერპლი

# დუნგა გადააყენეს



**მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში დამარცხებისთვის თანამდებობიდან გადააყენეს ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დუნგა თავის თანაშემწეებთან ერთად – ასე გადაწყვიტა ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ.**

ვინ შეცვლის დუნგას? ეს ცნობილი გახდება ივლისის ბოლომდე. ბრაზილიის პრესა ამ საპასუხისმგებლო პოსტზე „აყენებს“ ვანდერლეი ლუშემბურგოსა და „მილანის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელის ლეონარდოს კანდიდატურებს.

**ვალიკო სიმონიშვილი**

## სუმო

# სამი ქართველი ელიტაში

**იაპონიის სუმოს ასოციაციამ ივლისის რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა, რომელშიც პირველად მოხვდა ერთბაშად სამი ქართველი სპორტსმენი. მაისის ბაშოზე მიღწეული წარმატებისთვის 22 წლის ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) კომუსუბის ტიტულით დააჯილდოვეს.**

ერთხელ ამ წოდებას 29 წლის ლევან ცაგურიაც (კოკაი) ფლობდა. წინა შეჯიბრზე უსუსურად გამოსვლისთვის იგი დასავლეთის მე-12 მაეგაშირამდე დააქვეითეს.



ძურიოს დივიზიონიდან პირველად აღზევდა ელიტაში 23 წლის თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ), რომელიც აღმოსავლეთის მე-12 მაეგაშირა გახდა.

ამომავალი მზის ქვეყანაში ნაგოიას ბაშო 11 ივლისს დაიწყება და 25 ივლისამდე გასტანს.

## წყალხტომა

# ევროპა ელით

**ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში ევროპის პირველობაზე გაემგზავრა საქართველოს წყალმხტომელთა ნაკრები სამი სპორტსმენის (მწვრთნელი ალექსანდრე ბართაია) შემადგენლობით:** ალექსანდრე გუჯაბიძე 16-წლიანებში 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომებში იასპარეზებს. იგი აკაკი ივანიშვილთან ერთად 19-წლიანებშიც მოსინჯავს ძალებს სინქრონულ ხტომებში 3-მეტრიანი ტრამპლინიდან. ამავე ასაკში მედლებისთვის იბრძოლებს თეონა ყაჭეიშვილი, ოღონდ ერთმეტრიანი ტრამპლინიდან. შეჯიბრებაზე მსაჯად არის მიწვეული საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ბართაია.



## ინტერნეტიდან

# ჩემპიონი ჩვენი პილოტი იქნება



**ამას აცხადებს ავსტრიელი მულტიმილიონერი, ენერგეტიკული სასმელების Red Bull მწარმოებელი ცნობილი კომპანიისა და „ფორმულა-1“-ის ამავე სახელწოდების გუნდის მფლობელი დიტრიხ მატეშიცი.** მისი აზრით, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ამ პრესტიჟულ ავტორბოლაში სწორედ ერთ-ერთი მისი პილოტი გაიმარჯვებს, თუმცა რომელი? – ამის დასახელებისგან თავს იკავებს.

ერთ-ერთ ინტერვიუში მულტიმილიონერმა თქვა, რომ ის აბსოლუტურად კმაყოფილია პილოტებითაც და მანქანებითაც. ერთადერთი, რაც მას აწუხებს, ისაა, რომ თავიდან ვერ განსაზღვრეს, თუ რომელი მანქანით და რომელ პილოტს უნდა ელიდერა. ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს, რომ „რედ ბული“ გაიმარჯვებს, აბა, სხვამ ვინ უნდა გაიმარჯვოსო.

# გაიხადა ურუგვაის გამარჯვებისთვის?



**უპოპულარესმა ურუგვაელმა მოდელმა მონიკა ფარმა მეორე რიგში გადასწია უკვე ბევრისთვის საყვარელი ლარისა რიკელმე, რომელიც გაგიჟებამდე ქომაგობდა პარაგვაის.** „პლეიბოის“ ვარსკვლავმა კვირას ერთ-ერთ ტელეპროგრამაში ისეთი განცხადება გააკეთა, რომ ნამდვილად უნდა აღეფრთოვანებინა ურუგვაის ნაკრები. მონიკა მათ დაპირდა ეროტიკული შოუს მოწყობას, თუკი დაძლევდნენ ჰოლანდიელებს და ფინალში გავიდოდნენ.

გრაფიკის გამო ჩვენი გაზეთი ვერ გაცნობებთ წუხანდელი მატჩის შედეგს და შეასრულებს ლამაზმანი თუ არა თავის დანაპირებს.

◉ სჯობს გვიან!

# არ ვიცნობდი, თურმე, ბადრის, არ ვიცოდი მისი ქადრი!..

**ვაი, სირცხვილო, რომ მეგონა, ჩემი კარგა ხნის მეგობარი ბადრი ცირამუა ოდენ ერთი გულმხურვალე კოლხი კაცი და გამორჩეული ჟურნალისტია, თურმე, პოეტურ მუზასთანაც ყოფილა წილნაყარი და ერთიმეორეზე უკეთესი ლექსების მთხზველი...**

თუმცა, მეც მეპატიება. წერდა ლექსებს ბადრი და სკივრში ინახავდა, არ ბეჭდავდაო, გვეუბნებიან ახლობლები, რომლებმაც, იმ დღეს ჩვენი ბადრის წიგნი (შუა ხნის კაცის პირველი წიგნიძ **„პოეტური მონოლოგები“** მოგვიტანეს რედაქციაში (თვითონ სამეგრელოში, მშობლიურ მუხურშია წასულიოძ. სხვათა შორის, ლექსი „მუხური“ ერთ-ერთი საუკეთესოა კრებულში, რომელიც „ინტელექტს“ გამოუცია.

**„დედის კალთა, თბილი გული,**
**მორდუ ტკბილი მწლაზარი,**
**მამის ლოცვა, ტაბლა ძმური,**
**სახლი – უფლის ტაძარი“.**

ბადრი ცირამუას პოეტურ კრებულს ერთვის რედაქტორის, ცნობილი ჟურნალისტის **თეიმურაზ ქორიძის** წინასიტყვაობა, სადაც, ერთგან, იგი წერს: „ბადრი არ ყოფილა, არ არის და არც ოდესმე იქნება „მოდური“ პოეტი; იგი ოდეხს არ უძლვნიდა, არ უძლვნის და არ მიუძღვნის დამანგრეველ რევოლუციებს, რევოლუციურ „აღმშენებლობას“ და რევოლუციონერ „მოღვაწეებს“. მისთვის ძვირფასი მხოლოდ მარადიული ღირებულებებია და ჩვენც ამასვე გვიძადაგებს“.

ჯვარი ეწეროს შენს ჭეშმარიტ პოეტურ მონოლოგებს, ჩვენო ბადრი, სიამოვნებით წავიკითხე ეს მონოლოგები და ახლა მართლა გაგიცანი!

**ვილენ მარდალეიშვილი**




◉ დაიჯესტი

# არწივი, ნამგალი, ურო...



**არწივი ოდითგანვე დიდებისა და ძალაუფლების სიმბოლო იყო, ორთავიანი არწივი კი ცალკე თემაა. სახელმწიფო ხელისუფლების ნიშნად იგი ბიზანტიის იმპერატორებმა გახადეს, რომლებიც თავს ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ. გადმოცემით, ალექსანდრეს დაბადებისას სასახლის თავს ორი არწივი დაფრინავდა, რომლებიც ქვეყნიერების ორ ნაწილზე მისი მომავალი ძალაუფლების ნიშნად აღიქვეს. სწორედ ეს ორი არწივი გაერთიანდა შემდგომ ორთავიანი არწივის ჰერალდიკურ სიმბოლოში, რომელიც შემდგომ ევროპის სხვადასხვა იმპერიის გერბებში მოექცა.**

საგულისხმოა, რომ სსრ კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის სათათბიროს დეპუტატთა უმრავლესობას ქვეყნის სიმბოლოდ რომანოვების დინასტიის ორთავიანი არწივი უნდოდათ, რომელიც დერჟავის ძლევამოსილებისა და ურღვევობას გამოხატავდა, ოღონდ ბრჭყალებში... ნამგალი და ურო უნდა სჭეროდა!..

მაგრამ, ნამგალი და ურო – ერთობ სახიფათო სიმბოლოებია! კომუნისტ ბელადთა აზრით, ისინი გლეხთა და მუშათა ხელისუფლებას განასახიერებენ, რაც, ასე ვთქვათ, მათი ახალი „განმარტებაა“. ზოგადად კი ნამგალი და ურო (თუმცა ცალ-ცალკეძ, ძველი დროიდან მოყოლებული, კაცობრიობის სიმბოლური ლექსიკონის ნაწილებს წარმოადგენენ. აზრობრივად და გრაფიკულად, ურო თავდაპირველად ნაჯახისგან თითქმის არ განსხვავდებოდა. ძველ ეტრუსკულ გამოსახულებაზე ქვესკნელის სამყაროს ღმერთი ქარონი მიცვალებულთა სულებს მიწისქვეშეთში უროს ქნევით მიერეკება. ჰუნების ბელადი ეტილა კი, რომელმაც გალია



და რომის პროვინციები ააოხრა, საკუთარ თავს ამპარტავნად „სამყაროს უროს“ უწოდებდა.

ნამგალი, ისევე, როგორც ცელი, ძველთაგანვე მკას, ჟამთა სვლას, სიკვდილს განასახიერებდა. ძველ რომში ისინი ღმერთების – სატურნისა და ქრონოსის ატრიბუტები იყვნენ, ხოლო ამ ღვთაებათა ახირებულ ხასიათის შესახებ უამრავ მითშია მოთხრობილი. მეტიც: ძველინდურ ღმერთ შივას – სიცოცხლისა და სიკვდილის მბრძანებელს – ხელში ზოგჯერ გველი უჭირავს, ზოგჯერაც – ნამგალი.

## თქვენ როგორ აღიქვამთ ცხოვრებას?

**რა გასაკვირია, რომ ინგლისელებს ოპტიმიზმის ყველა პირობა აქვთ: თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, გთავაზობთ გადახედოთ ინგლისელ ფსიქოლოგთა მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებს. ინგლისელებს ეკითხებოდნენ: სახის რომელი გამომეტყველება შეესაბამება ცხოვრების თქვენეულ აღქმას?**




ახლა შეგიძლიათ ინგლისელთა ცხოვრებისეული აღქმა საკუთარი მეგობარ-ახლობლების აღქმას შეადაროთ, რისთვისაც მხოლოდ რომელიმე ერთი ასოს მითითება სთხოვეთ.

## ეს წითელი, წითელი ფერი

**ძველ დროში წითელი სიცოცხლის, სიყვარულის და ვნების სიმბოლო, ასევე ძალაუფლების სიმბოლო იყო. ამავე დროს, ეგვიპტეში მას გარდაცვლილთა, ხოლო ბიბლიაში – ცოდვის ფერად მიიჩნევდნენ. კერძოდ, აპოკალიფსში „ბაბილონელი მეძავი“ – „მეწამულ მხეცზე მჯდომარე დიაცი“ – ანტიქრისტეს განსახიერებაა. ზოგადად კი წითელი მაცხოვრის ჯვარზე სიკვდილის სიმბოლოა.** შუა საუკუნეებში სიკვდილის განაჩენებს წითელ ბეჭედს ასვამდნენ, წითელი სამოსი ეცვათ ჯალათებსაც. შემდგომ წითელი რევოლუციის ფერად გადაიქცა, იგი თითქოს აერთიანებდა სიძულვილსა და სიყვარულს, გარდაცვალებასა და სიცოცხლეს – წარსულის სიკვდილსა და ახალ სიცოცხლეს, სადაც საყოველთაო სიყვარულის ზეობა იქნებოდა...



## მართვის... მანქანა

**ხელოვნებათმცოდნეთა და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სამართალმცოდნეთა აზრით დივან-ი-ქჰასი, საოცრებათა ქვეყნის ინდოეთის ქალაქ ფათეხპურ-სიკრის ჭეშმარიტი საოცრებაა, რომლის შემქმნელი, როგორც ვარაუდობენ, დიდ მონღოლთა დინასტიის ერთ-ერთი გამორჩეული მბრძანებლის აკბარის ბრძანებითაა აგებული.** დივან-ი-ქჰასი 9X9X7 მეტრის პარალელოპიპედია, მის ცენტრში აღმართულია საგულდაგულოდ მოპირკეთებული სვეტი, რომელიც მის კუთხეებს ოთხი პატარა ხიდით უკავშირდება. გადმოცემით ცნობილია, რომ ამ ნა-



გებობას საგანგებო აუდიენციებისთვის იყენებდნენ. თავად აკბარი სვეტის თავს დაბრძანდებოდა ხოლმე, მისი მთავარი მრჩევლები კი ხიდების შორეულ ბოლოებში ისხდნენ. მთხოვნელები პარალელოპიპედის ძირში შესასვლელით შედიოდნენ და თავიანთი საჩივარით თუ წყალობის თხოვნით მბრძანებელს მიმართავდნენ. აკბარი სურვილისამებრ ნებისმიერ მრჩეველს იხმობდა ხოლმე აზრის გასაგებად, დანარჩენებს კი ამასობაში ერთმანეთთან მოლაპარაკების შესაძლებლობა არ ჰქონდათ...

ამდენად, დივანი-ი-ქჰასი ჭეშმარიტად გასაოცარი გამოგონებაა, კაცობრიობის ისტორიაში მართვის პირველი მანქანა.

◉ ინფორმაცია

## საძოვრები – ცენტრალური მთავრობის ბალანსზე

**ამიერიდან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საძოვრები ადგილობრივი თვითმმართველობის ნაცვლად უშუალოდ ცენტრალური მთავრობის ბალანსზე გადმოვა.**

როგორც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლაშა თორდიამ განმარტა, აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფო ერთიან სტრატეგიას ამუშავებს.

– რამდენიმე წლის წინათ ცალკეული საძოვრების განკერძოება მოხდა, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრები გადმოვიტანოთ უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში, რადგან მიგვაჩნია რომ ცენტრალური ხელისუფლება უფრო კარგად მართავს მას, – განაცხადა ლაშა თორდიამ.

როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი აცხადებს, დღემდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრები ადგილობრივი მმართველობის ბალანსზე ირიცხებოდა.

## ოკუპანტებმა ხილით დატვირთული მანქანები დააკავეს

**გალის რაიონის სოფელ თაგილონთან ახლოს რუსმა მესაზღვრეებად წოდებულმა ოკუპანტებმა საქართველოდან მომავალი სამი ტონა ხილით დატვირთული ორი ავტომობილი დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ, აფხაზეთში არსებული რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების პრესსამსახურის უფროსი ვასილ მალაევი ავრცელებს.**

– გალის რაიონის სოფელ თაგილონის ახლოს, სახელმწიფო საზღვრიდან 50 მეტრში მესაზღვრეებმა ორი ავტომობილი დააკავეს, რომლებიც საქართველოდან მოდიოდნენ. ავტომობილებში სულ ოთხი ადამიანი – აფხაზეთის ორი და საქართველოს ორი მოქალაქე იჯდა, – იუწყება მალაევი.

მისივე ინფორმაციით, ავტომობილები საქართველოს მოქალაქეებს ეკუთვნის.

საქართველოს ორი დაკავებული მოქალაქე უკვე გათავისუფლებულია.

## ოსებს ნეიტრალური სტატუსის მოწმობები არ სურთ

**სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. პარლამენტის ვიცე-სპიკერი მირა ცხოვრებოვა აცხადებს, რომ უპირველეს ყოვლისა საქართველომ უნდა აღიაროს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ ე.წ. სამხრეთ ოსეთი იქნება მზად ითანამშრომლოს საქართველოსთან.**

მას გარდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ე.წ. ოსური საზოგადოებისათვის სრულიად გაუგებარია, თუ რაში სჭირდებათ მათ საქართველოს მიერ შეთავაზებული დოკუმენტები „ნეიტრალური სტატუსით“.

– რა აუცილებლობა არის ამისა სრულიად გაურკვეველია. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 90 პროცენტს რუსეთის პასპორტები აქვთ. რომელი შეთანხმების საფუძველზე ან რა ნდობის საფუძველზე სთავაზობს საქართველო სამხრეთ ოსეთს მიიღოს საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის საჭირო „ნეიტრალური სტატუსის „პირადობის მოწმობები“, – აცხადებს ოს სეპარატისტთა ლიდერის ე.წ. მრჩეველი კოსტა ძუგაევი და დასძენს, რომ „საქართველოს ამ წინადადებით „ნეიტრალური სტატუსის „ მოწმობების აღების შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ნული (!) პროცენტი დაინტერესდება“.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ნუნუ ნიკოლაიშვილი, სოფიკო კუპრაშვილი იუწყებიან უახლოესი ნათესავის**

**ჯუმბერ ჭითანავას**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის თანამშრომლები, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის მიმართულების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ გიორგი ცაავას მეუღლის**

**ნინო გვაზავას**

**გარდაცვალების გამო.**

## სულიერება

# წმიდა იოანე ნათლისმცემლის შობა



7 ივლისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს შობას პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესი.

...საღმრთო წიგნი მოგვითხრობს, რომ იოანე ნათლისმცემლის მშობლები – ზაქარია და ელისაბედი იუდეის უძველეს ქალაქ ქებრონში ცხოვრობდნენ. ზაქარია იერუსალიმის ტაძარში მღვდელმთავარი იყო, ხოლო ელისაბედი მოსე წინასწარმეტყველის ძმის – პირველ მღვდელმთავარ აარონის შთამომავალი. იოანეს დედა – ელისაბედი, ღვთისმშობლის დედის – ანას დისშვილი იყო.

...ერთხელ ხანდაზმულ ზაქარიას გაბრიელ მთავარანგელოზი გამოეცხადა საკურთხევლის მარჯვენა მხარეს. უშვილო ზაქარიას მთავარანგელოზმა აუწყა, რომ უფალმა შეისმინა მათი ვედრება და მისი მეუღლე – ელისაბედი დაფეხმძიმდებოდა და მათ შეეძინებოდათ ვაჟიშვილი; ყრმას სახელად იოანეს დაარქმევდნენ, რაც ებრაულად ნიშნავს – უფალი მოწყალეა. მთავარანგელოზმა ასევე უწინასწარმეტყველა, რომ ყრმა დედის მუცელშივე აღივსებოდა სულიწმიდით და მაღალი სულიერი დანიშნულება ექნებოდა ღვთის წინაშე.

...მთავარანგელოზმა მარიამს ასევე ახარა, რომ მისი დეიდაშვილი უნაყოფო და ხანშიშესული ელისაბედი უკვე ექვსი თვის ფეხმძიმე იყო და ვაჟს ელოდებოდა. გახარებული მარიამი წავიდა ელისაბედის მოსანახულებლად.

წმიდა სახარებიდან ვიგებთ, რომ მუცლადმყოფი უფლის მოახლოება ყრმა იოანემ დედის მუცელშივე იგრძნო. მარიამის ხმის გაგონებისთანავე ელისაბედს ყრმა მუცელში შეუთამაშდა; ელისაბედი აღივსო სულიწმიდით... და, ახდა მთავარანგელოზის წინასწარმეტყველება: უნაყოფო ელისაბედმა შვა წინამორბედი უფლისა.

„შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ“. უამრავი მორწმუნე მოილოცავს იოანე ნათლისმცემლის წყაროსთან, ავჭალაში, წმინდანის ხსენების დღეს.

**გიული ლიპარტია**

## დღის კალენდარი

### 7 ივლისი

შობა იოანე ნათლისმცემლისა.

შობა პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი.

ხსენება წმიდა მოწამეთა შვიდთა ძმათა – ორენტი, ფარნაკი, ეროსი, ფირმოსი, ფირმინე, კვირიკე და ლონგინოზ მხედართა.



ამოდის 04.31
ჩადის 19.38



ამოდის 16.21
ჩადის 00.48

### დაიბადნენ:

**1848 – პოლ გოგენი,** ფრანგი ფერმწერი, პოსტიმპრესიონისტი.
**1852 – არტურ ლაისტი,** გერმანელი ქართველოლოგი. გარდაიცვალა 1927 წელს.
**1860 – გუსტავ მალერი,** ავსტრიელი კომპოზიტორი.
**1879 – ჭოლა ლომთათიძე,** მწერალი. გარდაიცვალა 1915 წელს.
**1884 – ლიონ ფეიხტვანგერი,** გერმანელი მწერალი. გარდაიცვალა 1958 წელს.
**1887 – მარკ შაგალი,** დიდი მხატვარი-აბსტრაქციონისტი. გარდაიცვალა 1985 წელს.
**1901 – ვიტორიო დე სიკა,** იტალიელი კინორეჟისორი. გარდაიცვალა 1974 წელს.
**1908 – ოდისეი დიმიტრიადი,** საქართველოში მოღვაწე ბერძენი დირიჟორი, პედაგოგი. გარდაიცვალა 2005 წელს.
**1922 – პიერ კარდენი,** ფრანგი კუტიურიე.

### გარდაიცვალნენ:

**1930 – არტურ კონან დოილი,** შერლოკ ჰოლმსის „მამა“.
**1967 – ვივიენ ლი,** ინგლისელი კინომსახიობი.

### მოვლენები:

**1607 წელი** – პირველად იმღერეს ინგლისის ჰიმნი „ღმერთო, დაიფარე მეფე!“
**1807 წელი** – ტილზიტში იმპერატორებმა ნაპოლეონ პირველმა და ალექსანდრე პირველმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას საფრანგეთსა და რუსეთს შორის.
**1923 წელი** – დაარსდა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური რეგიონი, რომელიც აზერბაიჯანის შემადგენლობაში შევიდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა დღე.**

მედიანიუსი

## ხუმარსიტყვა

### იარებოდა დედაი...

**იარებოდა გიული
ამაყად თავაწეული.
– შვილმა საქმე ქმნა გმირული,
მოგლიჯა ძეგლი წყეული.**

**დიდ წინაპრებს რომ თავზარს სცემს
არ ახალია, ძველია.
ერთი ხომ მაინც გავზარდე
რუსთა ვერ, – ძეგლთა მძლევია.**

**არ არის განა აშკარა
ნგრევისკენ გზა რომ ხსნილია.
შეხედეთ, რიგში დამდგარან
ვაჟა, აკაკი, ილია...**

**თამაზ ილმელი**

## ინფორმაცია

### არქივს თენგიზ ქართველიშვილის კოლექცია შეემატა

**მხატვარ თენგიზ ქართველიშვილის აფიშებისა და პლაკატების კოლექციას ეროვნული არქივი დაიცავს. მხატვრის მიერ 1970-1990-იანი წლების სხვადასხვა კულტურული ღონისძიებისათვის შექმნილი აფიშები და პლაკატები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში, მხატვრის პირად ფონდში შეინახება.**

ხელოვანმა თავისი ნამუშევრები უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას გადასცა. 300-მდე დოკუმენტი მოიცავს აფიშებსა და პლაკატებს, რომელიც თენგიზ ქართველიშვილმა შექმნა თეატრალური სპექტაკლების, გამოფენების, სიმპოზიუმების, კონცერტების, საიუბილეო, სპორტული და სხვა ღონისძიებებისათვის.

ჯი-ეიჩ-ენი

## კრიმინალი

### გაძარცვული „პოპული“

**გუშინ ავლაბარში, წურწუმიას ქუჩაზე, „პოპულის“ ქსელის მაღაზია გაძარცვეს. წინასწარი ინფორმაციით, დანით შეიარაღებული ორი თავდამსხმელი მაღაზიაში მაშინ შეიჭრა, როცა იქ 3 თანამშრომელი იმყოფებოდა. თავდამსხმელებმა ნავაჭრი თანხა გაიტაცეს და მიიმალნენ.**

ჯი-ეიჩ-ენი



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8441 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3068 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8027 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9117 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0156 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2942 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3317 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1699 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7235 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +22 – +36 |
| ქუთაისი. | +22 – +30 |
| ბათუმი. | +20 – +28 |
| ზუგდიდი. | +22 – +28 |
| თელავი. | +20 – +33 |

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

ებრაელმა ბიჭმა დედამისს თავისი შეყვარებული მიუყვანა გასაცნობად. დედა მთელი საღამო აკვირდებოდა გოგოს, წასვლისას კი შვილს უთხრა:

– გიყურებთ, ბავშვებო, და არ შემიძლია არ გითხრათ, რომ პირდაპირ ისე გამოიყურებით, როგორც ბრედ პიტი და ჯულია რობერტსი.

– დედა, ალბათ გინდოდა გეთქვა, როგორც ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი, არა?

– არა, შვილო, სწორედაც, როგორც ბრედ პიტი და ჯულია რობერტსი, რადგან თქვენს შორის არაფერია საერთო.



* * *

– იცით, რა პრინციპული განსხვავებაა ქალთა და ვაჟთა საერთო საცხოვრებლებს შორის? ქალთა საერთო საცხოვრებელში ჭურჭელს ჭამის შემდეგ რეცხავენ, კაცებისაში კი – ჭამის წინ.

* * *

ბაღში სკამზე ახალგაზრდა ბიჭი ზის და ნერვულად იყურება მაჯის საათზე. გვერდით მეორე ბიჭი მიუჯდა, ჩანთიდან თერმოსი და ბუტერბროდი ამოიღო და ეუბნება:

– პირველად ხარ არა პაემანზე? საჭმელიც კი არ წამოგიღია...

* * *

– ძვირფასო, მალე მამა გახდები.

– ეეჰ, მე კიდევ კოსმონავტობა მინდოდა.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.